

გამოიცა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ
ანანის (ჯაფარიძე) ღოცვა-კურთხევით

ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა
და ნეტარისა მამისა ჩვენისა
ჰეტრე ქართველისა, რომელიც
იყო ძე ქართველთა ძეგისა

თბილისი
2012

წმიდა აღმსარებელი ზოლივექტოს კარბელაშვილი წერს: “ჰეტრე ქართველის მიერ დაარსებული მონასტერნი სავსენი იუენენ ბერ-მონაზვნებით, მოდიოდნენ ივინი სამშობლოში და თან მოჰქონდათ ქრისტიანობის და ეროვნული გრძნობის განმამტკიცებელი სწავლა-მოდგურება და საეკლესიო წიგნნი და არიგებდნენ ეკლესიებში. ჰეტრე თვით სთარგმნიდა და სწერდა ქართულ ენაზედ საღმრთო წერილს, აწერინებდა თავის მოწაფეებს მრავლად წირვა-ლოცვის დროს სახმარებელ წიგნებს. ესრეთ სათნო მოღვაწეობა ქართველ ბერ-მონაზონთა ზალესტინის, ანტიოქიის, სინას მთის, ათონის მთის და სხვა მონასტრებიდან არ შეწყვეტილა თვით XVIII საუკუნემდე”

წმიდა კირიონ II კი აღნიშნავს: „ჯერ კიდევ სიცოცხლეში წმიდა ჰეტრე თავიანთ სიამაყედ მიაჩნდათ არა მარტო მართლმადიდებლებს, არამედ მონოფიზიტებსაც. მისი ნეტარი აღსასრულის შემდეგ კი იგი ორივე მხარემ შერაცხა თავიანთ წმინდანად“, ისევე როგორც სომხეთის განმანათლებელი, მღვდელმწამე გრიგოლ ეპისკოპოსი (დაახლ. 335) და მღვდელმწამე ჰეტრე – ალექსანდრიელი ეპისკოპოსი (331).

ამ უდიდესი სასულიერო მოღვაწის ფრესკები გამოხასხულია სინას მთის წმიდა ეკატერინეს და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე. ქართველი ერი უნდა იცნობდეს თავის სახელოვან წინაპარს, ნეტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს, რომელიც არის სიამაყე ქართველთა და მეოხი მთელი ქვეყნიერების. ამიტომ „ცნოვნება წმიდა ჰეტრე იბერიისა“ გადატანილ იქნა ანა აბულაძის მიერ ახალ სალიტურატურო ენაზე.

შესავალი

მესუთესაუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნე, მნათობი ქართველი ერისა, სირია-ზალესტინასა და ეგვიპტეში ეკლესია-მონასტრების მაშენებელი, სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხული, მეუღაბნოე ბერი და დიდი მღვდელმთავარი, წმიდა ჰეტრე იბერი (411-485) (ერში მურვანოსი), იყო იბერიის (ქართლის) მეფის ვარაზ ბაკურის ძე.

წმიდა ჰეტრე იბერი ვახტანგ მეფის ახლო ნათესავი იყო. იგი ეკუთვნოდა ფარნავაზიანთა იმავე ძველ-ქართულ სამეფო დინასტიას, რომელსაც ეკუთვნოდა ვახტანგ გორგასალი (20. გვ. 791).

წმიდა ჰეტრე იბერი ანგელოზის ხარებით „ვითარცა დიდი წინამორბედი“ მისცემია თავის კეთილმორწმუნე მშობლებს (4. გვ. 2). 12 წლის მურვანოსი ბიზანტიის იმპერატორის, თეოდოსი მცირის მოთხოვნით მძევლად იქნა გაგზავნილი კონსტანტინეპოლში. მურვანოსს თან ახლდა მისი გამწვანელი, თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი, ფილოსოფოსი, მითრიდატე ლაზი, რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში (ფაზისის უმაღლესი ფილოსოფიური სკოლა). ეს სკოლა იმდენად მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა III-IV საუკუნეებში, რომ იქ განათლების მისაღებად მიდიოდნენ თვით გამოჩენილი ბიზანტიელი მოღვაწეებიც (12. გვ. 20).

სასახლეში ქართველი უფლისწულის აღზრდა-განათლებას მითრიდატე ლაზთან ერთად იმპერატორის მეუღლე, ევდოკია ხელმძღვანელობდა. მურვანოსს თავისი ცოდნით და გონიერებით მეფე და სასახლის ფილოსოფოსები განცვიფრებაში მოჰყავდა. მურვანოსი დროის უმეტეს ნაწილს ლოცვასა და მარხვაში ატარებდა. მას გარედან ამშვენებდა მდიდრული სამოსი, შიგნით კი მძამემოსა. სხეულის დათრგუნვისთვის იატაკზე ეძინა. უფლისწულზე ღვთის მადლი იყო დაუანებელი. ჯერ კიდევ ემაწვილმა ბიზან-

ტიის სამეფო კარზე სასწაულები მოახდინა. ერთ-ერთი მათგანი იყო მურვანოსის მიერ ზეთის ვარეშე კანდელის წყალზე ანთება. კანდელის წყალზე გასაოცარი ბრწეინვალებით ერთი შვიდი დღე-ღამის განმავლობაში.

კეისრის კარზე ახალგაზრდა მურვანოსი ინიშნება მეფის კავალერიის უფროსად, რასაც მისმა ტანადობამაც შეუწყო ხელი. მას წინ ბრწეინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ მურვანოსს არ იზიდავდა სამეფო კარის ცხოვრება. მას სურდა თავი უფლისთვის მიემდღვნა. ერთხელ, უფლისწულს უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოეცხადა მონაზვნის სამოსელში. მურვანოსს სიცოცხლეში არაერთხელ ჰქონდა უფლის გამოცხადება. ამ გამოცხადების შემდეგ მან მტკიცედ გადაწყვიტა სასახლის დატოვება. მურვანოსმა და მითრიდატე ლაშმა, როგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცათ, იმპერატორისაგან ფარულად კონსტანტინუპოლი დატოვეს და სამოღვაწეოდ ჰალესტინას მიაშურეს. იერუსალიმში მიმავალთ გასაღამის სიბნელეში ნათლის სვეტი უნათებდა. იერუსალიმში უფლისწული მურვანოსი და მისი მასწავლებელი მითრიდატე ლაში მაცხოვრის საფლავზე ბერებად აღიკვეცნენ. მურვანოსს ეწოდა ჰეტრე, მითრიდატეს – იოანე. ჰეტრემ და იოანემ სირია-ჰალესტინასა და ეგვიპტეში მრავალი ეკლესია-მონასტერი დააარსეს. როგორც წმიდა ჰეტრე იბერის ბიოგრაფი უაქარია ქართველი გვამცნობს, ეგვიპტეში წმიდა ჰეტრეს მიერ აშენებული ტაძარი წმიდა მარკოს მახარებელმა აკურთხა. (მარკოს მოციქული იყო სამოცდაათ მოციქულთაგანი და მოციქულ ბარნაბას დისწული. მოწამეობრივად აღესრულა ალექსანდრიაში, სს. 25 აპრილი) (38. წ.1. გვ. 326).

ჰეტრე იბერმა ხანგრძლივი, დაუღალავი სამონასტრო და ზილიგრიმული მოღვაწეობით ისეთი სახელი გაითქვა, რომ მას სირია-ჰალესტინისა და ეგვიპტის მონაზონთა ბურჯი უწოდეს. იმ დროინდელი წყაროები ჰეტრეს იხსენიებენ, როგორც „მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმულ კაცს“, „დიდ ჰეტრეს“, „მეორე



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

მოსეს“ (25. გვ. 258).

წმიდა ჰეტრემ ზედმიწევნით შეისწავლა ასურული ენა და მწერლობა. ის იყო ჰირველი ქართველი სასულიერო ჰირი, რომელმაც საერთაშორისო სახელი და ჰატევი მოიპოვა. მას სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია და ის დიდი ფილოსოფიური, კულტურული და სამწერლოსაქმიანობა, რასაც საეკლესიო-რელიგიური მოღვაწეობის ჰარალელურად ჰეტრე და მისი თანამოაზრეების ჯგუფი ეწეოდა სირია-ჰალესტინაში, ქართული კულტურის შეწევნასაც გულისხმობდა თავისთავად (25. გვ. 258). ჰეტრე იბერი იღვწოდა სირია-ჰალესტინაში ქართული სალიტურატურო და სამონასტრო კერების შექმნისათვის. იგი ჰირველი ქართული კოლონიის ფუძემდებელია სირია-ჰალესტინაში (39. გვ. 10). სამწუხაროდ, ცოტა მთუ იცის, რომ წმიდა ჰეტრე იბერი არის იერუსალიმში ქართული ჯვრის მონასტრის მამულებელი, რომელიც სახლვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის უძველესია. საქართველოს სახლვარგარეთ 50-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი ჰქონდა. მარტო წმიდა მიწასე ქართველთა სახელთან არის დაკავშირებული 35 მონასტერი (30. გვ. 104), რომელთა შორის ჯვრის მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი რელიგიური და კულტურულ-სამწიგნობრო ცენტრია, რომელიც ოდესმე დაუარსებია ქართველებს (30. გვ. 106). უძველესი დროიდან მოყოლებული ჯვრის მონასტერი ქართველთა მონასტრის სახელითაა ცნობილი. მონასტერს მეექვსე საუკუნეში ეწოდა ჯვრის მონასტერი (11. გვ. 13). ამჟამად, ბერძნები დაეპატრონნენ მონასტერს. ისინი ცდილობენ ამ სავანის ქართული წარმოშობის კვალის წაშლას.

ჯვრის მონასტრის ეზოში არის ბიბლიური წმიდა ლოთის მღვიმე (30. გვ. 106). აღმოსავლეთის გადმოცემები და ერთი სირიული აპოკრიფული წერილი მოგვითხრობს შემდეგს: ლოთმა, თავისი მძიმე ცოდვა აღიარა ბიძამისთან, აბრაამ მამამთავრის წინაშე (ძვ.

აღთქმა. წიგნის შექმნისა. 19:30-37). აბრაამმა ცეცხლიდან გამოიღო სამი მუგუსალი: კვიპაროსის, ნამვისა და სოჭის. მან ურჩია ლოთს დაერგო და მოერწეა. თუ ისინი იხარებდნენ და გაიხრდებოდნენ ეს იქნებოდა ნიშანი უფლიდან მძიმე ცოდვის მიტევებისა. მოხდა სასწაული. ეს მუგუსალები არათუ განედდნენ, არამედ დროთა განმავლობაში სასწაულებრივად შეერთდნენ და ერთ დიდ ხედ აღმოცენდნენ. სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს ხე მოჭრეს, მაგრამ სამენ მასალად აღარ გამოიყენეს. ამ ხისგან გაკეთდა ჯვარი, რომელზეც ჯვარცმულ იქნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ტიმოთე გაბაშვილი, XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელმაც იერუსალიმი მოილოცა 1775 წელს, ამბობს, რომ „და აწცა ახნია მოკვეთილისა მის ხისა ძირი“ (27. გვ. 121).

მეორე გადმოცემა მოგვითხრობს: როდესაც ბიბლიური ადამი მძიმედ ავად შეიქმნა, მან გავსავნა მისი ძე სეითი ედემში, ანგელოზებთან, რომლებიც იცავდნენ სამოთხეს, რათა ანგელოზებს მომაკვდავი ადამისთვის წამალი მიეცათ. ანგელოზებმა სეითს მისცეს სამი თესლი: კვიპაროსის, სოჭის და ნამვის. სეითი როცა დაბრუნდა, ადამი გარდაცვლილი დახვდა. სეითმა მამის საფლავზე დარგო ისინი. ამ სამი თესლიდან აღმოცენდა ერთი დიდი ხე. სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს, როგორც საუკეთესო მასალა მოჭრეს, მაგრამ შემდეგ აღარ გამოიყენეს და ხიდად გადეს სილუანის საბანელში. როცა უფალს ჯვარცმით სიკვდილი მიუსაჯეს, მამინ ურეებმა მონადომეს მძიმე ხისგან ჯვრის დამზადება. ამოიჩიეს ეს ხე, როგორც ეველასე მძიმე (და ადამიანთა ფეხით ვათელილი), რადგანაც მთელი საუკუნეები იყო ვადებული წყალზე. მისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე (21. გვ. 77).

სამონასტრო ადგილი შემთხვევით რომ არ შეიჩნა, არქეოლოგიურმა გათხრებმაც უჩვენეს. ჰირველი საუკუნიდან მოყოლებული ქართველთა სამონასტრო ცხოვრება რომ ვითარდებოდა ჰალესტინაში ეს ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ზეთისხილის



ბაღში უძველესი კატაკომბების არსებობით, რომელიც ქართველ მონაზონთა საძვალეთ ითვლებოდა. კატაკომბებია თვით მონასტრის ქვეშაც კლდეში, სადაც ჩასვლა ესოში არსებული გვირაბით შეიძლება. მირიან მეფემ ეს ადგილი იმპერატორი კონსტანტინესაგან მიიღო საჩუქრად. მირიან მეფეს აშენებული ტაძარი V საუკუნეში წმიდა ჰეტრე იბერს განუახლებია წმიდა მეფე ვანტანგ გორგასლის ფინანსური დახმარებით. არაბების ბატონობის ხანაში ჯვრის მონასტერი რამდენჯერმე დაიხვრა. XI საუკუნის დასაწყისში იგი აღადგინა გიორგი ჰროხოროე შავშელმა. ბაგრატ IV-ის (980-1044) ფინანსური დახმარებით და ექვთიმე ათონელის ბრძანებით. ჯვრის მონასტრის უძველეს ფენაში აღმოჩნდა მოხაიკის იატაკის ფრაგმენტები, რომელსაც IV-V საუკუნეებით ათარიღებენ (11. გვ. 17). ჯვრის მონასტრის მთავარი ეკლესია თავისი არქიტექტურით, მოხატულობითა და იატაკის მოხაიკით, გამოირჩეოდა წმიდა მიწის სხვა მონასტრებისგან. იქ მოღვაწე ქართველები, უაღრესად რთულ ვითარებაშიც კი, დიდ ეურადღებას უთმობდნენ ჯვრის მონასტრის მორთვა-მოკაშვას და მოხატვას. „შემორჩენილი ფრესკები უნიკალურია მთელ ჰალესტინაში“ – აღნიშნავდა ფილოსოფიის დოქტორი ვ. ცაფერისი (11. გვ. 74).

ჯვრის მონასტერს ჰქონდა საკუთარი დღესასწაული – წმიდა ჯვრის დასამზადებელი ხის მოჭრის დღე. მონასტერში ინახებოდა სასულიერო რელიქვია, წმიდა ბარბარეს ხელი (11. გვ. 71-72).

მონასტერი რომ ქართველებმა დააარსეს და მათვე აღადგინეს ეს კარვად ჩანდა მონასტრის დასავლეთ კედლის ფრესკებზე, სადაც გამოკასხულნი იყვნენ: მეფე მირიანი, ვანტანგ გორგასალი და წმიდა ჰეტრე იბერი. იმპერატორი კონსტანტინე და მისი დედა ელენე, ბაგრატ IV, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და ჰროხოროე შავშელი. მირიანი, რომელმაც იმპერატორი კონსტანტინესაგან საჩუქრად მიიღო ეს ადგილი, ვანტანგ გორგასალი – დამფინანსებელი და ჰეტრე იბერი – აღმშენებელი, მონასტრის აღდგენის ინი-



ციატორები – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ბაგრატ IV – დამუინანსებელი და გიორგი ზროსორე – აღმდგენელი (11. გვ. 16).

არსებობს მოსაზრება, რომ ისინი, ვინც იერუსალიმელ არაბებად იწოდებიან, იმ ქართველი მხედრების ჩამომავალი არიან, რომლებიც წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა სამუდამოდ დატოვა წმიდა ქალაქ იერუსალიმში ჯვრის მონასტრის დასაცავად. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ზ. კონჭოძეილი, რომელმაც 1899 წელს იმოგზაურა იერუსალიმში. იგი წერდა: „ჯვრის მონასტრიდან 20 წუთის სავალზე, „ვარდების ველზე“, გაშლილია სოფ. მალხა, რომლის მოსახლეობა ქართველ კოლონისტთა ჩამომავალია. კერძოდ, იმ ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებიც მეფე ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში დატოვა ჯვრის მონასტრის მტერთაგან დასაცავად. მათ დაუგვიწეიათ მშობლიური ენა, თუმცა გადმოცემით იციან, რომ შთამომავალი არიან შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა და თავიანთ თავს გურჯებს უწოდებენ. ირგვლივ მცხოვრები არაბები მათ ისე უეუბებენ, როგორც მოსულსა და უცხო ტომს. ისინი იცავენ და ემსახურებიან ჯვრის მონასტრს, მალხელები ძირითადად ლაზარაკობენ არაბულად, მაგრამ იციან ცოტადენი თურქული და ბერძნული. მალხელები სარგებლობენ საკუთარი უფლებით დაამუშაონ მონასტრის მინდვრები და ვენახები. მონასტრს შემოსავლის მესამედს აძლევენ. ისინი იერით განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან, მალხელებს მოჰყავთ ვარდი, ამხადებენ ვარდის წყალს აიანხისთვის, ტრაპეზის კურთხევისათვის და განსაბანელად. ვარდის წყალს გზაენიან სრულიად ზალესტინაში და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში“ (21. გვ. 79-80).

ჰეტრე იბერმა ასევე ააშენა იორდანის უდაბნოში ლაზთა და იბერთა მონასტრები. მასვე მიაწერდნენ საბას მონასტრის დაარსებასაც (1. გვ. 258). 1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირ-

ზალესტინის უბეველესი მოზაიკური ქართული წარწერა V ს. 30-იანი წლები
მოზაიკური ქართული წარწერა შესრულებულია ჰეტრე იბერის მიერ.



ჟილიო კორბომ იორდანის უდაბნოში ბეთლემის მახლობლად აღმოაჩინა და გამოიკვლია ჰეტრე იბერის დაარსებული ლაზთა (ბეთლემის) მონასტერი, რომლის იატაკიც შემკული იყო მოზაიკური ქართული წარწერებით. ეველა ეს წარწერა შესრულებულია მოზაიკურ იატაკზე ასომთავრულით (ხუცური მთავრულით) ე.ი. საეკლესიო დამწერლობით (12. გვ.51). წარწერებში მოხსენიებულია ვიდი და ჰეტრე იბერის სახელი ერისკაცობაში მარვა (მურვანი). მისი მამისა და ზაზის სახელები (ბუსმირი და ბაკური) ცხადყოფენ, რომ იგი ჰეტრე იბერის მიერ არის აშენებული. ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ქართულ წარწერთა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ეველაზე ძველად მიხნეულ ბოლნისის წარწერებს (12. გვ.41). იორდანის უდაბნოში ქართული დამწერლობის ნიმუშების აღმოჩენის შემდეგ აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული დამწერლობა არსებობდა მეხუთე საუკუნემდე. მართლაც, მოგვიანებით ნეკრესში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი წარწერები აკადემიკოსმა ლევან ჭილაშვილმა ხანგრძლივი კვლევა ძიების შემდეგ ძვ.წ. IV და ახ.წ. II-IV საუკუნეებით დაათარიღა (18. გვ.124-127).

„დღეს ჩვენს წინაშეა ქართველი უფლისწულის მიერ ზალესტინის უდაბნოში აგებული ძეგლი, სადაც მას ქართული წარწერები დაუტოვებია. ეს კი იმას მოწმობს, რომ იგი მჭიდროდ ეოფილა დაკავშირებული ქართულ კულტურულ სამყაროსთან და იმდროინდელ წმიდა ადგილებში მოღვაწეობით მას ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო სარბიელზე გაჰქონდა“ - განაცხადა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა (8. გვ. 46).

ქართული ისტორიოგრაფია ჰეტრე იბერს აკავშირებდა ზირველ ქართულ მთარგმნელობით სკოლასთან. რომლის ერთ-ერთი ლიდერი უნდა ეოფილიყო ჰეტრეს აღმწარდელი და მოძღვარი იოანე ლაზი. ამ განცხადების უფლებას იძლევა ის, რომ სწორედ

იოანე ლაზის მიერ აგებულ ზალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები (3. გვ. 18).

„ზეტრე თვით სთარგ მინდა და სწერდა ქართულ ენაზედ საღმთო წერილს, აწერინებდა თავის მოწაფეებს მრავლად წირვა-ლოცვის დროს სახმარებელ წიგნებს. გაამრავლა ერმათა სასწავლო სკოლები, დააარსა მონასტერნი ანტიოქიაში (საკვირველ მთაზე), სასტუმრონი და ქსენონნი და ბოლოს მირიანის მიერ დაწვებულ და თავის მიერ გამძვენებულ ჯვარის მონასტერში დაბინავდა, სადაც შობიდან 657 წლისა † 477 წელს (2. გვ. 27).

ეურადღებს იბერებს ზეტრე იბერის „ქართული სული“, რომელიც ტრიალებს მის მიერ ზალესტინაში აგებულ ეკლესიასა და მონასტერში. ვირჯილიო კორბომ ეურადღება მიაქცია ეურმნის საწურავ (საწინახელი) და ზეთის გამოსახედელ სათავსოებს, რითაც კორბოს სიტყვით ეს მონასტერი განსხვავდება ამ მხარის სხვა მონასტრებისაგან (12. გვ. 23)

ზეტრე იბერისა და ზალესტინელი სხვა ქართველი მოღვაწეების დამსახურებაა, რომ ქართველებმა მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის, როგორც ამას საბა განწმედილის (532წ.) ანდერძი მოწმობს, ქართველებს უფლება ჰქონდათ ზალესტინის უდიდეს ლავრაში, სადაც ბერძნები იყვნენ გაბატონებული, ქართულად შეესრულებინათ ქამნობა, სამსრობა და წაეკითხათ სახარება და სამოციქულო (35. გვ. 27).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წმიდა ზეტრეს სახელს უკავშირდება მეორე მოციქულებად წოდებული 13 კაბადოკიელი ქართველი მამის (ე.წ. ასურელი მამების): დიონის იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, ანტონ მარტოფელის, დავით გარეჯელის, ისე წილკნელის, აბიბოს ნეკრესელის, იოსებ ალავერდელის, ზენონ იუალთოელის, ჰიროს ბრეთელის, მიქაელ ულუმბოელის, სტეფანე ხირსელის, ისიდორე სამთავნელის და თადეოზ სტეფანწმიდელის მოხელა საქართველოში (23).



სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ფრესკის ფრაგმენტი (XIII ს). ფრესკაზე გამოსახულნი არიან წმიდა ზეტრე იბერი, წმიდა ილარიონ ქართველი და წმიდა შიო მღვიმელი. ფრესკას ამძვენებს წარწერა — მნათობნი ქართველთანი.

როგორც წმიდა აღმსარებელი პოლიევქტოს (კარბელაშვილი) წერს: „ამ დროს ზეტრე ქართველის მიერ დაარსებული მონასტერნი სავსენი იყვნენ ბერ-მონაზვნებით, მოდიოდნენ იგინი სამშობლოში და თან მოჰქონდათ ქრისტიანობის და ეროვნული გრძნობის განმამტკიცებელი სწავლა-მოძღვრება და საეკლესიო წიგნნი და არიგებდნენ ეკლესიებში, სადაც საჭირო იყო, ესრეთ სათნო მოღვაწეობა ქართველ ბერ-მონაზონთა ზალესტინის და ანტიოქიის და მეტე სინას მთის, ათონის მთის და სხვა მონასტრებიდან არ შეწვეტილა თვით XVIII საუკუნემდე“ (2. გვ. 28).

ჰეტრე იბერი არა მარტო მონასტრების მაშენებელი, არამედ ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში კარვად ცნობილი ე.წ. არეოპაგიტული თხზულებების ავტორია. მან ამოაწერა ის ხარვეზები, რაც ანტიკურმა ფილოსოფიამ ვერ გადაჭრა. კერძოდ, ნეოპლატონიზმი ქრისტიანულ საფუძველზე გადაამუშავა (31. გვ. 135). არეოპაგიტული მოძღვრების ავტორად მიიხსენიებენ დიონისე არეოპაგელს, რომელიც ჩვ.წ. I საუკუნეში ცხოვრობდა და ქრისტიანობაზე ზავლემოციქულმა მოაქცია. დიონისე არეოპაგელი იყო ათენის არეოპაგის – უმაღლესი სასამართლოს – ერთ-ერთი წევრი (აქედან სახელწოდება „არეოპაგელი“) და ამავე ქალაქის ეპისკოპოსი. ამ თხზულებათა სწრაფად გავრცელება მეექვსე საუკუნიდანვე დაიწყო, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. ითარგმნა სირიულ, არაბულ, კობტურ, ქართულ, სომხურ დ სლავურ ენებზე (25. გვ.259).

არეოპაგიტიკულმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზეც. იგი ქართულ ენაზე თარგმნა ეფრემ მცირემ XI-ის საუკუნის მეორე ნახევარში. მეცნიერებაში დაგროვდა უამრავი მტკიცებულება, რომ დიონისე არეოპაგელი არ იყო არეოპაგიტული თხზულებების ავტორი. დადგინდა, რომ ეს თხზულებები დაიწერა V საუკუნის დამდეგს ქალაქ დასის მახლობლად. თხუთმეტი საუკუნის შემდეგ საიდუმლოებით მოცული ავტორის ვინაობას მიაკვლია ქართველმა მეცნიერმა შ. ნუსტუბემ (1888-1969). 1942 წელს მან წამოაყენა თეორია, რომ ავტორი არეოპაგიტული თხზულებების არის V საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნე ჰეტრე იბერი. ათი წლის დაგვიანებით, 1952 წელს გერმანელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა (რომელიც იმ დროს ბელგიაში მუშაობდა, როგორც ბელგიის აკადემიის წევრი) შალვა ნუსტუბემისაგან სრულიად დამოუკიდებლად იგივე თეორია წამოაყენა. ამ ზრობლემას პროფ. ს. ენუქაშვილმა მიუძღვნა თავისი კაპიტალური ნაშრომი – გამოსცა ჰეტრე იბერის



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა
წმ. საბა განწმედილი და წმ. ექვთიმე დიდი

(ფსევდო დიონისე არეოპაგელის) შრომების ეფრემ მცირესეული თარგმანი, რომელსაც დაურთო მონოგრაფიული გამოკვლევა, ეფრემ მცირის კომენტარები და ლექსიკონი. თუმცა, მომდევნო წლებში დასავლეთის მეცნიერთა ერთუხიანად განხილდა. ერთი კია, რომ მათ ამ თეორიის დასაბუთებულად უარყოფაც ვერ მოახერხეს და არეოპაგიტულ წიგნთა ავტორობის ახალი პრეტენდენტის არ წამოუყენებიათ (25. გვ. 260).

აკადემიკოსი გურამ თევზაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ დიდ ქართველ მოაზროვნეს, წმიდა ჰეტრე იბერს, თუნდაც მხოლოდ იმით, რასაც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, სრული ღირსება ჰქონდა იმისათვის, რომ „არეოპაგიტის“ შესაძლებელ ავტორთა სიაში ეოფილიყო, მაგრამ ამის გარეშე, მის მიერ წამოყენებული პრინციპები, როგორც პიროვნების, თავისი თავის, კაცობრიობის და ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის, მსოფლმხედველობის არსებითი ასპექტის წამოწვევისათვის მას, მართლაც ეკუთვნის პატივი ჩაითვალოს საქართველოს სიამაყედ და საერთოდ კაცობრიობის მეოხად (6. გვ. 22).

წმიდა ჰეტრე იბერიელზე არსებობს მდიდარი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. „ჰეტრეს ცხოვრება“ შეტანილი ეოფილა ავრეთვე ქართველ წამებულთა ცხოვრების კრებულში (ქართველ წმიდა მამათა ცხოვრებათა კრებული), რომელიც შიო მღვიმის მონასტერში ეოფილა დაცული (10. გვ. 153).

ჯერ კიდევ სიცოცხლეში წმიდა ჰეტრე თავიანთ სიამაყედ მიანხნდათ არა მარტო მართლმადიდებლებს, არამედ მონოფიზიტებსაც. მისი ნეტარი აღსასრულის შემდეგ კი იგი ორივე მხარემ შერაცხა თავიანთ წმინდანად (1. გვ. 258).

წმიდა ჰეტრე იბერის გარდაცვალების შემდეგ მალევე შეექმნა საუკუნის დასაწყისში მისი ცხოვრება ასურულ ენაზე აღწერა მისმა მოსწავლემ საქარია ქართველმა. როგორც მისი ანდერძიდან ვიგებთ იგი ნეტარ მამას საქართველოდან გამოჰყოლია და გარ-

დაცვალებამდე მის გვერდით იყო. ასურულ ენაზე დაწერილი წმიდა ჰეტრეს ცხოვრება ქართულად გადმოთარგმნა მაკარი მესხმა XIII საუკუნეში. ჰვლე დეკანოზმა (XV ს.) ნახა „ჰეტრე იბერის ცხოვრების“ თავბოლონაკლული და ფურცლებამდელი ნაწერები, აღადგინა და ბოლოს დაურთო თავისი ანდერძი. ანდერძიდან ვიგებთ, რომ თხზულების შესავალიც ჰვლე დეკანოზს დაუწერია. ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჰეტრე იბერის ცხოვრება თანამემამულეებისთვის, ქართულადაც იქნებოდა დაწერილი, მაგრამ ქართულ სიახვედრებში იმსხვერპლა (17. გვ. 202), ისევე როგორც დღემდე არ მოუღწევია საქარია ქართველის ასურულ ენაზე დაწერილი „ჰეტრე იბერის ცხოვრება“-ს და არც მაკარი მესხის ასურულიდან ქართლ ენაზე თარგმნილ თხზულებას. ჰვლე დეკანოზს უნდა უმაღლადეს ქართველი ერი „წმიდა ჰეტრეს ცხოვრების“ აშლილ ტექსტს რომ გაუკეთა რედაქტირება და დაღუპვას გადაარჩინა.

ქართული „ჰეტრეს ცხოვრების“ ცნობათა მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია. უპირველესად ეს უნდა ითქვას საქარია ქართველისა და მაკარი მესხის ანდერძებზე, რომელთაც ჩვენი ძველი კულტურის ისტორიისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც აქვს გიორგი მთაწმინდელის ცნობას „ბაღავანის“ ბერძნულად მთარგმნელის – ექვთიმე მთაწმინდელის შესახებ. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ქართული „ჰეტრეს ცხოვრების“ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს დიდი სიფრთხილით მოვეუიღოთ. ქართულმა ხელნაწერებმა დაცვა „ჰეტრეს ცხოვრების“ ავტორის სახელი „გლანაკი საქარია, მოწაფე მისი ქართლითგანვე“ და მოდი, ნუ შევეცდებით მის აღმოფხვრას და ამ მიზნით გზასადაგინილ და უსისტემო კვლევა-ძიებას.

საქარია ქართველი V საუკუნის საზღვარგარეთელი სასულიერო მწერალია, რომელსაც უმოღვაწია მიაუმის მონასტერში. იგი გვერდს უმშვენებს მისსავე თანამედროვე ავიოგრაფს იაკობ ხუცესს, „მუშანიკის მარტვილობის“ ავტორს. ჩვენ უნდა ვიამაყ-

ოთ ამ მწერლით და ჯეროვნად შევაფასოთ მისი ლიტურგურული მოღვაწეობა, რომელიც ნათელ შუქს ჰფენს ქართულ-ასურულ და ქართულ-ბიზანტიურ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას იმ შორეულ წარსულში, როდესაც დიდი ჰეტრე იბერიელი და მისი ქართველი თანამოსენაკენი დღე და ღამ იღწვოდნენ სირია-პალესტინაში ქართული სალიტურგურო და სამონასტრო კერების შექმნისათვის (16. გვ. 153).

წინამდებარე წიგნი არის ზაქარია ქართველის თხზულების „ჰეტრე იბერის ცნობრების“ ახალ სალიტურგურო ქართულ ენაზე გადმოტანის პირველი მცდელობა. წიგნის მიზანია ქართველმა ერმა უკეთ გაიცნოს და შეეუაროს თავისი სახელოვანი წინაპარი — ქართველი უფლისწული, დიდი მეუდაბნოე ბერი და დიდი მღვდელმთავარი — ჰეტრე იბერი.

მკითხველო, როგორც ჰეტრე იბერის ბიოგრაფი ზაქარია ქართველი მოგვიწოდებს, მიუბამოთ ჩვენი წმიდა მამების ცნობრებას და ვთხოვოთ მათ შემწეობა წმიდა სამების წინაშე. განსაკუთრებით კი ნეტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს, რომელიც არის მშვენება და სიამაყე ქართველთა და მეოხი მთელი ქვეყნიერების.

ვითარითაჲ შესწმიტა ვაქებდეთ ღირსად, ანუ რომლითა გალობითა უგალობდეთ ჩუენ მღვდელთ-მოძღუარსა ჰეტრეს, მნათობსა სოფლისასა, და სიქადულსა ქართველთა ერისასა და უმეტეს ქალაქისა მოამისა, და მრგულივ პალესტინესა, და ალექსანდრიასა, და ეგვიპტეს, სკიტეს და თებაიდასა, რომელსა შინა იღუაწა ღუაწლი სათნოი ღმრთისაი და მოჰყინა მდიდრად სასწაულნი და კურნებანი და აწ მეოხ არს ჩვენთვის უფლისა მიმართ.



წმ. ილარიონ ქართველი, წმ. ჰეტრე ქართველი, წმ. არჩილ მეფე და წმ. მეფე ლუარსაბი. XVIII-ის მინიატურა.

გვაკურთხეთ, მამაო!

ჩემო საყვარელო ძმებო, მსურს გაუწეოთ ცნობიერება ჩვენი წმიდა და ნეტარი მამისა ჰეტრესი, რომელიც გახდა მნათობი არა მარტო ზალესტინის, არამედ მთელი ქვეყნიერების. იგი იყო მეფური, საღვთო წარმომავლობის. წმიდა წერილსა და ღვთის ცნებებით აღზრდილმა, მსგავსად ხისა კეთილისა და მშვენიერისა, გამოიღო უხვი ნაყოფი არა მხოლოდ თავისი დროისა, არამედ სამარადეამო, საწადელი და სასურველი ეოველი ღვთის მსახურისათვის და შესწირა იგი მაცნოვარს ჩვენსას იესოს ქრისტეს. მან არა მხოლოდ თავისი ნაყოფი მიართვა ეოვლისმემოქმედ ღმერთს, მსგავსად მართალი აბელისა, რომელიც ღმერთმა შეიწირა, რომლის სურნელება, ვითარცა კეთილი საკმეველი, ისე აღიორა ზეცაში უფალთან, არამედ სხვა მრავალი სულიც მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე — მან მიუძღვნა უფალს მრავალი ნაყოფი ფრიად მშვენიერი და კეთილსურნელოვანი, მრავალი კრავნი უბიწო და შეურყენელი. ვისწრაფვი გაუწეოთ მისი სათნო ცნობიერების შესახებ, ვიდრე მოვითხრობდეთ მის წარმომავლობასა და აღზრდაზე. თუმცა, სჯობს თავი შევიკავო წმიდანის სათნოებათა* შესახებ თხრობისაგან.

უფიქრობ, უფრო მართებულა, ჩემო ღვთისმოყვარეო, თავდაპირველად გაუწეოთ ამ ღვთაებრივი ნერვის წარმომავლობის შესახებ, თუ სად და როდის აღმოცენდა იგი. შემდეგ კი მისი საკვირველი მოღვაწეობისა და იმ სასწაულების შესახებ, რომლებსაც იგი აღასრულებდა. ვისაც სარწმუნოდ არ მიანხნია ცნობიერება და სასწაულები ამ საკვირველად დიდებული კაცისა — „ნუ იქნები ურ-

* სათნოება - უადრესი ზნეობრივი სიფაქიზე ქრისტიანული მორალის მიხედვით: თავმდაბლობა, გულწრფელობა, კაცთმოყვარეობა, უბიწოება, სიუვარული ეველასადმი, სულის სიმშვიდე და აუღელვებლობა, მოთმინება, სულგრძობა, სიქველე (მოწუალება); საერთოდ ეოველგვარი ღირსება, ეოველგვარი სიკეთე (36).

წმუნო, არამედ გწამდეს“ (იოანე 20:27), რადგანაც მე არ ვაპირებ სხვისგან მოსმენილის თხრობას, არამედ მსურს გიამბოთ ის, რაც საკუთარი თავალით ვინილუ: წმიდა მამას სიერმიდანვე მოვეყვები და, როგორც ერთეული შვილი, ეოველთვის მის გვერდით ვიეავი და ეველგან ვანლდი, სადაც კი წავიდოდა იგი.

ბერძენთა მეფის, ღვთისმოსავი თეოდოს მცირის (401-450) დროს (არკადი კეისრის მე და თეოდოს დიდის შვილიშვილი) ქართლის მეფე იყო ვარაზ ბაკური (მეოთხე მეფე ძირიანის შემდეგ). მეფე ვარაზ ბაკური იყო მართლმადიდებელი და დიდი ღვთისმსახური. ღვთისმოსაობა და მგზნებარე სიუვარული მაცნოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი მას მამა-ზაზიდან მოსდგამდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში წმიდა სახარება იქადაგა ქრისტეს მოციქულმა წმიდა და დიდებულმა ანდრიამ (როგორც ამას წერს ნიკიტა საღვთო და ფილოსოფოსი „წმიდა მოციქულის მიმოსვლასა და ქადაგებაში“), შემდეგ კი ღვთის მიერ გამოგზავნილმა წმიდა ნინომ, ამ მოციქულთა ქადაგებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ქართველმა ხალხმა ისწავლა ღვთისმსახურება, იწამა წმიდა სამება და ნათელილო წმიდა სამების სახელით. ქართველთა ქვეყანამ ერთხელ იწამა რა ჭეშმარიტი ღმერთი, მისთვის არ უღალატია, არც ვუღალატებთ უკუნისამდე, წმიდა სამების მადლით და ეოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობით, რომელიც არის სასოება და მფარველი ქრისტიანეთა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მეფე ვარაზ ბაკური იყო ღვთისმომიში. მეფეს შვილი არ ეავდა. იგი მსურვალედ ევედრებოდა ღმერთს მისთვის მოწუალე თვალთ გადმოეხედა და შვილი მიეცა.

ერთხელ, როცა მეფე ვარაზ ბაკური სამეფო ქალაქ მცხეთაში ბრუნდებოდა, გზაში შემოაღამდა. მან გადაწვიტა იქვე მტკვრის ნაპირას გაეთეებისა ღამე. მეფემ ძილის წინ ილოცა და დაწვა მოსასვენებლად. როგორც კი თვალეები მიღულა, მეფეს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა. იგი იყო ბრწეინვალე და დიდებული, მოელვარე, სწეტაკი სამოსით შემოსილი. მისი სახე მწესავით ბრ-

წეინავდა. ანგელოზის ხილვისას მეფე შეშინდა. უფლის ანგელოზ-
მა დანაშვიდა და ახარა, რომ უფალმა მისი ღოცვა შეისმინა. დე-
დოფალი დაფენსმძიმდებოდა და შეეძინებოდა ვაჟი, რომელიც დიდი
და სრული იქნებოდა ღვთისა და კაცთა წინაშე. იგი მრავალ ერს
მოაქცევდა ღვთისაკენ.

„წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაი ბრწვინვალე და დიდე-
ბული, მოხილი სამოსლითა სპეტაკითა ელვარედ და ბრწვინვიდა
ჰირი მისი ვითარცა მზის თუალი. ხოლო მეფემან ვითარცა იხილა
ანგელოზი იგი, იქმნა შეშინებულ ფრიად. ჰრქუა ანგელოზმა მან
უფლისამან მას: „ნუ გეშინინ, მეფე. მე ვარ ანგელოზი უფლისა და
მოვივლინე შენდა უფლისა ღვთისა მიერ, რამეთუ შეისმნეს ღოც-
ვანი შენი. და აჰა მიუდგეს ცოლი შენი და გიშვეს შენ მე, რომელი
იუოს დიდ და სრულ წინაშე ღვთისა და კაცთა და მრავალნი ერნი
ღვთისა მოაქცინეს“. როცა მეფემ გაიღვიძა, განარბებულმა ღმე-
რთი აღიდა. გამოცხადების შემდეგ, დედოფალი ძალე დაფენსმძიმდა
და შვა მე. ახალშობილი მონათლეს წმიდა სამების სახელით და
უწოდეს მურვანოსი*. ამრიგად ნეტარი მამა ჰეტრე დაიბადა ან-

* ჰეტრე იბერიელი (ერობაში-მურვანოსი) დაიბადა 411 წელს. დედა
იყო ბაკურდუსტი. ჰეტრეს ბაბუა დედის მხრიდან იყო ბაკური დიდი. ბე-
ბიას ერქვა დუსტი. ბაკური დიდი და მისი მეუღლე დუსტი მიუსედავად
მეფური წარმომავლობისა მონაზვნურ-ასკეტურ ცხოვრებას ეწოდნენ,
ისინი ღვთისმომძიძობის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ რომ ერთმანეთში
დადებული შეთანხმების საფუძვლზე მათ სორციელი კავშირი შეწყვიტეს
და დაკმაყოფილდნენ იმ შვილებით, რომლებიც მათ უკვე ეავდათ. მეფე
ბაკური, გარდა იმისა რომ ღოცულობდა და მარხვას მკაცრად ინახავდა,
კვირაში სამჯერ გვიდა ქალაქის ეკლესიას. გლახანი ძალიან უყვარდა.
იგი სასახლეში გაჭირვებულთათვის სხვადანსხვანაირ საჭმელებს ამზადე-
ბინებდა. შემდეგ კალათებით თავად მიჰქონდა გლახაკთა თავშესაფარში
და შეუძლოდ მეოფეს თავისი ხელით აჭმევდა. მეფე ბაკურს სწარსეთის
მეფესთან სასახო ხელმეკრულება ჰქონდა დადებული. ერთხელ იგი
სწარსთა მეფესთან ერთად სალამქროდ გაემართა. როგორც კი მზე ამოი-

გელოზის ხარებით, როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველე-
ბი: სამუილი და იერემია „და სამოთგანვე წმიდა იქმნა ვითარცა
დიდი წინამორბედი“ (37. გვ. 217).

მეურსულდა თუ არა მურვანოსს 3 წელი, მას სწავლა დაწვე-
ბინეს. მურვანოსს უფლისგან მიმადლებული ჰქონდა დიდი ნიჭი.
ღვთის ძაღლი იყო დავანებული მასზე. იგი განსაკუთრებით გულმ-
ოდგინედ კითხულობდა წმიდა წერილს* და სწავლობდა დღისით და

წვერა, სწარსთა მეფე და მისი მხლებლები ცხენებიდან ჩამოხტნენ, რათა
მხისთვის თავი ეცათ. მხოლოდ მეფე ბაკური დარჩა ცხენზე ამხედრე-
ბული. „მე ქრისტეანი ვარ და თავვანს ვცემ მხოლოდ ერთადერთ ჭემმარტ
ღმერთს, ეოველთა შემოქმედს და არა მის მიერ განხილ მზეს“, აღნიშნა
ბაკურ დიდმა. ბაკურის მეუღლემ, დედოფალმა დუსტიმ ტანთ ძაძა ჩაიცვა,
მვირფანსი სამკაულები გაეიდა და აღებული თანხა ღარიბებს დაურიგა.
მხურვალედ მლოცველ დუსტიას უფლისგან კურნების ნიჭი მიენიჭა. იგი
ავადმეოფს ერთი ხელის შესებით კურნავდა. ჰეტრე იბერის ბებია (მამის
მხრიდან), ოსდუსტი, ხალხს ისეთ დიდ წმინდანად მიაჩნდა, რომ როდე-
საც მიწისძვრების შედეგად დანგრეული ციხე-სიმაგრეების აღდგენას
ვერ ახერხებდნენ, მის წმიდა ნაწილებს მიიტანდნენ და ციხე-სიმაგრეში
დასვენებდნენ. ჰეტრეს აღმზრდელი ძუძო ღამით ღვებოდა და ისე გულ-
მხურვალედ ცრემლებით ღოცულობდა, რომ მასთან მძინარე ერმას მისი
ცრემლები ეცემოდა. ჰეტრეს დედა ბაკურდუსტმა მეუღლის გარდაცვალებ-
ის შემდეგ ქალაქი დატოვა და სოფელში განდევნილივით ცხოვრობდა.
გაჭირვებულებს ეხმარებოდა და სოფლებში უძწეოთა თავშესაფრებს
ავებდა. ბოლოს კი მონაზვნად აღიკვეცა. (9. გვ 249-254).

* „აჰა უეჭველი საბუთი, რომ მირიანის დროიდანვე ქართულ ენაზე ის-
წავლებოდა და იმოდღვრებოდა ქართველი ერი“ (20. გვ. 28). „სამღვდე-
ლოებამ გამართა ეკლესიებთან ერმათა სასწავლო სკოლები, რომელთაც
მთელი ერი ეკლესიაში მკითხველ-მგალობლად გარდააქციეს. თუ რა
მშვენივრად იყო ერმათა აღზრდა სწავლების საქმე იმ დროს საქართ-
ველოში, ამის უეჭველ საბუთს ვაოულობთ წმიდა ჰეტრე ქართველის სვი-
ნაქსარში...“ (2. გვ. 27).

ღამით. იზრდებოდა ღვთის შიშით.

იმ დროს საბერძნეთსა და სპარსეთს შორის ომი იყო გაჩაღებული. ბერძნებს ეშინოდათ, რომ ქართველი მეფე მიემხრობოდა სპარსელებს და გაერთიანებული ძალებით დაამარცხებდნენ. მიუხედავად ქართველი მეფის დაპირებისა, რომ იგი არ განუდგებოდა ბერძენთა მეფეს და არ მიემხრობოდა სპარსელებს, თეოდოსი მცირემ მძევლად მოითხოვა ქართველი ულისწული, რათა სიუვარული და მშვიდობა ეოფილიყო ქართველებსა და ბერძნებს შორის. ვარან ბაკურმა 12 წლის მურვანოსი გააგზავნა სამეფო ქალაქ კონსტანტინეპოლში, საბერძნეთის სამეფო კარზე მურვანოსს თან ახლდა მისი გამწვანედი, თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი, ფილოსოფოსი მითრიდატე ლაზი.

მეფე თეოდოსმა დიდი ჰატივით მიიღო ქართველი უფლისწული და საკუთარი შვილივით აღზარდა. იმპერატორის სასახლეში მონასტრული ატმოსფერო სუფევდა. მეფე-დედოფალი და სამეფო კარი დიდ ღვთისმსახურებაში იყვნენ. დროის უმეტეს ნაწილს მუდმივ ლოცვასა და მარხვაში ატარებდნენ და მოწულებას უხვად განცემდნენ. მურვანოსი ხედავდა რა მათ დიდ ღვთისმოსაობას, (სიუვარული ღვთისადმი მას სამშობლოდან, თავისი მშობლები-სგან გამოყვა) მან კიდევ უფრო გაამრავლა თავისი სათნოებანი.

როგორც ჰეტრე იბერის ბიოგრაფიიდან ჩანს წმიდა წერილი ქართულად იმ დროისათვის უკვე არსებობდა. სწორედ მას კითხულობდა დღე და ღამე 9 წლის მანძილზე (3 წლიდან 12 წლამდე) ჰატარა მურვანოსი საქართველოში. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ მის მიერ აშენებულ მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები – ერთ-ერთი უძველესი დღემდე ცნობილ წარწერათა შორის (4. გვ. 9).

წ. კითხვის წიგნ-საცავში იხანება ორი ძველი სამოციქულო დაწერილი ერთი VII-VIII სს., მეორე IX-X სს. ხელით დაწერილი), რომელთა წინასიტყვაობის წარწერათაგან, საგულისხმოა, რომ სრული სამოციქულო სათაურითურთ უთარგმნიათ ქართულად 399 წ. (13. გვ. 41).

მკაცრი მარხვა, მღვიძარება, გამუდმებული ლოცვა, გლახაკთათვის მოწულებების გაცემა, სიმშვიდე, სიუვარული, სიკეთე, მოთმინება და, როგორც წმიდა მოციქული იტყოდა, „ყოველნივე ნაყოფი სულისანი შეიტკბნა, რომელ არიან წმიდანი სათნოებანი“. უველანზე მეტად კი მოიპოვა სულისა და ხორცის სიწმიდე დიდი იოსების მსგავსად. მურვანოსი სამეფო სამოსლის ქვეშ ფარულად ბაღის სამოსელს (თხის ბეწვისაგან მოქსოვილი უხეში ზერანგი), მამას ატარებდა. მარხულობდა კვირაში ორჯერ ან სამჯერ, ხანდახან კი მთელი კვირის განმავლობაში არაფერს იღებდა, მსგავსად დანიელ წინასწარმეტყველისა და მისი მეგობრებისა (სამი ერმისა). იგი თრგუნავდა ხორცის სიმხურვალეს და „ცეცხლსა მას სულისასა განაძლიერებდა, რომლისა მოფენად მოვიდა ქრისტე მე ღვთისა“. ჯერ კიდევ უმაწვილს ღმერთმა მიანიჭა განკურნების მადლი

იმ დროს სპარსეთში აწამეს ქრისტეს მიმდევრები. ქრისტეანებმა, რომლებიც ესწრებოდნენ მათ წამებას, ქართველთა მეფე ვარან ბაკურს გამოუგზავნეს მოწამეების წმიდა ნაწილები. ამ წმინდანთა წმიდა ნაწილები მურვანოს თან ჰქონდა და ემსახურებოდა მათ დიდი მოწიწებით. როცა უფლისწულს ძილი მოუნდებოდა, წვებოდა ზირდაპირ იატაკზე მოწამეთა წმიდა ნაწილების წინ და ასე იძინებდა. წმიდა მოწამენი ძილში ეცხადებოდნენ მურვანოსს მხედრების სახით, ანუგეშებდნენ მას, მოუთხრობდნენ ცათა სასუფეველზე და დაუსრულებელ ნეტარებაზე.

ერთი წლის შემდეგ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმიდა შობის დღესასწაულის აღნიშნვიდან მეთერთმეტე დღეს, დადგა წმიდა და ბრწვინვალე და ნათლით შემოსილი ქრისტე ღვთის ნათლისღება. ნათლისღების დღესასწაულზე დიდებულები, უბრალო ხალხი და თვით მეფე-დედოფალი წირვასე დასასწრებად წავიდნენ ნეტარი კონსტანტინე დიდის მიერ აშენებულ წმიდა სოფიოს ტაძარში. მონაღვთისა მურვანოსი დარჩა სასახლეში, რადგანაც რაც შეიძლება მეტი გულმოდგინებით შეესრულებინა ლოცვის კანონი და თავისი

თავისთვის დასვენების უფლება არ მიეცა. მას სურდა მომსახურებოდა მოწამეთა წმიდა ნაწილებს. მურვანოსმა გაწმიდა კანდელები, რომელთა ანთებისადაც ანირებდა წმიდა ნაწილების წინ. მან ერთ-ერთ მსახურს კანდელების ასანთებად ზეთის მოტანა სთხოვა. მსახურმა თხოვნა არ შეუსრულა და განრისხებით უთხრა: „რად არის ეს? ეველა ქრისტიანი აღნიშნავს ნათლისღების დღესასწაულს და მხიარულობს, ჩვენ კი მონაზვნებივით ვცხოვრობთ“. მსახურმა არათუ არ მოუტანა ზეთი, უფრო მეტიც, უფლისწულის მოკვლა განიზრახა, რათა მისგან გათავისუფლებულიყო და თავის ნებაზე ეცხოვრა. ნეტარი მურვანოსი არ გაბრაზებულა. იგი მშვიდად წამოდგა და კანდელები ზეთის მაგივრად წელით აავსო. შემდეგ მუხლი მოიდრია და, მსგავსად წმიდა ელია წინასწარმეტყველისა, აღაპრო ხელები და კანდელების ასანთებად ითხოვა მადლი ღვთისაგან და წმიდა მოწამეთაგან. ჰოი, სასწაულო, რამეთუ კანდელები წყალზე უცებ ანთო და ზეთის გარეშე შვიდი დღე-ღამის განძავლობაში იწვოდა „დიდად ბრწინვალედ“. ამ სასწაულის შესახებ აღწობებს ბერძენთა მეფეს თეოდოს მცირეს. როცა მეფე და დიდებულები მოვიდნენ და იხილეს, თუ როგორ ბრწინვალედ ენთო ზეთის გარეშე წყალზე კანდელები, აღიღეს ღმერთი და თქვეს: „ნეტარია მონა ღვთისა მურვანოსი“. მეფე ეამბორა მის წმიდა სახეს. ამ სასწაულის შემდეგ მეფემ და სასახლის დიდებულებმა კიდევ უფრო შეივარეს ღვთისმოსავი უფლისწული.

ერმა მურვანოსი მკაცრად იცავდა შემდეგ წესს. იგი ეოველდღიურად თავისი საკვების ნაწილს ღარიბებს უნაწილებდა. ერთხელ, როდესაც მურვანოსი მსურვალედ, ცრემლებით ღოცულობდა, იხილა მის წინ მდგარი უფალი იესო ქრისტე. მურვანოსმა მკისვე თავიანი სცა უფალს, ცრემლებით ასველებდა უფლის წმიდა ფეხებს და თან ევედრებოდა: „უფალო, უფალო, ნუ მიმატოვებ“. უფალმა ნუგეში სცა და აღუთქვა: „**მრავალნი კეთილნი იქმნენ შენ მიერ ქვეყანასა ზედა, რამეთუ მე შენთანა ვარ ეოველთა დღეთა ცხორე-**

ბისა შენისათა“. მაგრამ ისინი, ვინც მასთან იდგნენ, ვერაფერს ხედავდნენ. თუმცა, გულისხმა-ჰევეს, რომ ქართველ უფლისწულს გამოცხადება* ჰქონდა.

ამ დღიდან მოყოლებული მურვანოსმა მტკიცედ გადაწვიტა იერუსალიმში გამგზავრება. ეს რომ გაიგო თეოდოსი მცირემ, უფლისწული თავისთან მოიხმო და შევედრა არ წასულიყო, მაგრამ მურვანოსი არ დაემორჩილა. მაშინ მეფემ უფლისწულს მეთვალყურეები მიუჩინა, რომლებიც გააფრთხილა, რომ მისთვის მკაცრად ედევნებინათ თვალ. მათ გადაწვიტეს ნეტარი მურვანოსის მოკვლა, რადგანაც ემინოდათ, რომ უფლისწულის გაქცევის შემთხვევაში, მეფისგან სასტიკი სასჯელი ელოდათ. მაგრამ ღმერთი იფარავდა თავის რჩეულ მურვანოსს, როგორც იფარავდა იოსებს მისი ძმებისაგან.

იყო ვინმე საჭურისი სახელად იოანე (საუბარია უფლისწულის აღმზრდელ მითრიდატე ლაზზე) კაცი წმიდა და განმორებული ეოველი ბოროტი საქმისაგან. იმისთვის, რომ უფრო მეტი თავდადებით ემსახურათ უფლისთვის, მურვანოსმა და იოანე საჭურისმა გადაწვიტეს სასახლის დატოვება. ერთხელ, როდესაც ისინი ერთად იხსდნენ და საუბრობდნენ საუკუნო ცხოვრების შესახებ, მათ გაახსენდათ მაცხოვრის სიტყვები: „რამეთუ სადაცა ივენენ ორნი,

* ერთხელ, როდესაც ის მათ შორის იდგა და მათ სულის ხსნაზე ესაუბრებოდა, უცებ დაინახა უფალი მონაზვნის სამოსელში. უფლისწული დავარდა, ეთაყვანა, მის ფეხებს ხელები მოხვია და ტირილითა და ცრემლებით წამოიძახა: „ჩემო უფალო და ჩემო ღმერთო!“ მას ეგონა რომ სხვებიც ხედავდნენ უფალს. ამ გამოცხადების შემდეგ ბევრმა მათგანმა უარყო ეს ქვეყანა და ჩაიცვა მონაზვნის სამოსელი. როდესაც მურვანოსი ბერად აღიკვეცა, გვითხრა მათი სახელები. მათ შორის ივენენ ღვთისმოსავი მონაზონი თეოდოტე და მისი ძმები – ჰროკლე და სოფრონი. თვალსაჩინო თანამდებობის ჰირები, ერთი – ხურო და მეორე – სამეფო ქონების გამგებელი. (9. გვ. 259).

გინა სამნი შეკრებილ სახელისა ჩემისათვის მუნ (იქ) ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18,20) და კიდევ „და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე 10,38). მურვანოსმა და იოანემ მტკიცედ გადაწვეტიეს, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, იმპერატორისაგან ფარულად დაეტოვებინათ სამეფო კარი და გაქცეულიყვნენ.

იმის შესახებ თუ როგორ დაეუფლა ნეტარი ჰეტრე (უფლისწულ მურვანოსს სახელი ჰეტრე ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა) ბერძნულს, გაუწევებთ შემდეგს. ჩვენი უოფნის დროს კონსტანტინეპოლში მან ისე აღვიღაღ ისწალა ბერძნული და დაეუფლა მეცნიერების დარგებს, რომ თავისი გონიერებით მეფე და სასახლის ფილოსოფოსები განაცვიფრა. ასევე აღვიღაღ შეისწავლა მან ასურული ენა*, როდესაც ჩვენ წავედით იერუსალიმში.

დაუბრუნდეთ ზემოთ მოხსენიებულ ამბავს. მურვანოსმა და იოანე ლაშმა მტკიცედ გადაწვეტიეს კონსტანტინეპოლიდან წასვლა. ერთხელაც, ღამით იზოვეს მათთვის ხელსაყრელი დრო, აიღეს ცხოველყოფილი ჯვრის ნაწილი, იმ წმიდანების ნაწილები, რომელთაც ისინი ემსახურებოდნენ, საჭირო თანხა და დატოვეს ქალაქი კონსტანტინეპოლი. ქალაქიდან გამოსულებმა დაინახეს

* ქართული საისტორიო წყარო ვაწვდის ცნობას ჰირველ ენაზე: „სოლო ჰირველი ენა ასურებრი იყო“ (29. გვ. 163). ჰირველი ენა – ასურული ანუ ქალდეური იყო. (32. გვ. 439). სახელოვანი ისტორიკოსი - არქეოლოგი, ქართული ენის გრამატიკის ერთ-ერთი ჰირველი შემდგენელი და ჰედაგოგი თევდორე ჟორდანიას გამოთქვამს მოსაზრებას: „უეჭველია, რომ ჰირველად საღვთო წიგნები გადათარგმნილ იქნა V საუკუნეში ასურულ ანუ ქალდეურ ენიდან. ჰირველ მთარგმნელებად მოხსენებულია ქართველნი, სტეფანე და დავითი...“ (24. გვ. 46).

როგორც სტრატონი, ისე სხვა ძველი ბერძენი ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ ხალდეები იგივე ხალიბები არიან. ქალდეელები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. ხალიბები კი ქართველური ტომია (19. გვ. 139).

ნათლის სვეტი, რომელიც ბნელ ღამეში მათ გზას უნათებდა. ნათლის სვეტიდან მოესმათ ხმა: „ეძიებდეთ ნათელსა, რომელი იგი მოვიდა მამისაგან ნათლისა და რომელი ეძიებდეს მას ნათელსა სასყიდელი სრულებით მიიღოს“. წმიდანებმა დაინახეს სვეტი ნათლისა და მოესმათ რა ხმა სვეტიდან, დიდად გაიხარეს და ადიდეს წმიდა სამება. ამასობაში მიაღწიეს ზღვის ნაპირს. ღვთის განგებით, ნავიც გამოჩნდა. ავიდნენ ნავზე და გაუდგნენ გზას. ინათა თუ არა, მეფე თეოდოსს მოახსენეს ნეტარი მურვანოსის გაქცევის შესახებ. დიდად დამწუხრდა მეფე და ბრძანა სასწრაფოდ მოემებნათ ისინი. მათი ძიება ამაო აღმოჩნდა, რადგანაც ღმერთმა დაიცვა თავისი მოწიები.

გადაცურეს ზღვა და როდესაც ხმელეთზე დადგეს ფენი, წმიდანებმა აიღეს მოწამეთა წმიდა ნაწილები, წმიდა სახარება, ნაწილი ცხოველყოფილი ძეგლის (ჯვრის) და გზა გააგრძელეს. გზაში ღმერთმა მათ მრავალი სასწაული მოუვლინა. სიცოცხლის მომნიჭებელი ჯვრის ნაწილს მთელი მოგზაურობის განმავლობაში უხვად სდიოდა მირონი. ისინი იღებდნენ მირონს, იცხებდნენ სხეულს და დაღლილობა სწრაფად ეხსნებოდათ. ამის შემხედვარე წმიდანები ადიდებდნენ უფალს, რომელმაც მათ ასეთი სასწაული მოუვლინა.

მიაღწიეს ერთ ქალაქს. ამ ქალაქის მთავარმა ისინი შეიპერო და საპრობილეში ჩასვა. უთხრა, რომ შეიცნო მათში გაქცეული მოწიები და არ გაათავისუფლებდა მათ, სანამ არ მოვიდოდა მდევარი. იმ დამეს მოხდა ისეთი დიდი მიწისძვრა, რომ ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა. ქალაქის მთავარს ძილში გამოცხადება ჰქონდა. მას ეჩვენა „ჰინმე კაცნი საშინელნი“ რომლებმაც უთხრეს, რომ თუ არ გაათავისუფლებდა ტუსაღებს, მთელი ქალაქი მიწასთან გასწორდებოდა. გამოენიისას შემინებული მთავარი სასწრაფოდ გაემურა საპრობილისკენ, დატყვევებულ წმიდანებს ფეხებში ჩაუვარდა, გაათავისუფლა ისინი და ჰატეება სთხოვა. იგი ცრემლებით ევედრებოდა მათ ქალაქში დარჩენას და აღუთქვა, რომ აუშენებდა ისეთ მონასტერს,

როგორსაც მოისურვებდნენ, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ და იერუსალიმისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმში, შექმნილი და დიდხანს ღვარეს ცრემლები. შემდეგ შევიდნენ ქალაქში, მოილოცეს წმიდა ადგილები და ეკლესიები: წმიდა ადგილისა, გოლგოთა და დიდებული ბეთლემი, ზეთისხილის წმიდა მთა და გეთსიმანია, სადაც განსასვენებელი ჰყოფდა ღვთისამ და საიდანაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ აღამაღლა ზეცად მისი ეოვლადწმიდა დედის უწმიდესი სხეული. მსურვალე ცრემლებით მოილოცეს ასევე ცხვრის კარიბჭე*, სიონის წმიდა მთა – მოციქულების შეკრებისა და სხვა წმიდა ადგილები.

იერუსალიმში მოღვაწეობდნენ რომაელი დიდებული ჰინინო და მისი მეუღლე – რომაელი სენატორის ქალიშვილი მელანია. მათ იერუსალიმში ააშენეს ორი მონასტერი: დედათა და მამათა და შეუდგნენ მონაზვნურ ცხოვრებას მათ მიერ აშენებულ მონასტერში. რომაელი დიდებული ჰინინო ზურვით ეზიდებოდა შემას თავისი მონასტრისათვის, რათა მორჩილების მაგალითი ეჩვენებინა მონასტრის ბერებისათვის. ჰინინოს მსგავსად ნეტარი მელანიაც თავს ხელსაქმით ირჩენდა. ჰაველე მოციქულის სიტყვისამებრ: „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცაღა ჭამენ“ (II თესალონიკელთა მიმართ 2,3).

მელანიამ იცნო მურვანოსი და იოანე, რომელთაც იგი ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლიდან იცნობდა და მათზე ზრუნვა თავად იტვირთა აილო. ისინი გაეზავნა ჰინინოს მიერ აშენებულ მონასტერში და ჩააბარა მონასტრის წინამძღვარს დიდმოღვაწე და

* ცხვრის კარიბჭეს სხვაგვარად გეთსიმანიის, ანდა წმიდა ქალწულ მარიაშის კარიბჭე ეწოდებოდა, რადგანაც მისი გავლით მიემართებოდნენ გეთსიმანიის ბაღისაკენ და ღვთისმშობლის და წმიდა სტეფანეს საფლავებისაკენ. ხოლო ცხვართა კარიბჭეთ იმის გამო იწოდებოდა, რომ სწორედ აქედან შეჭეადათ ქალაქში ცხვარი – ზოგი ბანარზე გასაუიდად, ზოგიც – ტამარში შესაწირად (5. გვ. 43).



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წმ. ნეტარ იბერის ფრესკა

კეთილშობილ ადამიანს. მონასტრის წინამძღვარმა მურვანოსი და იოანე დიდი სინარულით მიიღო და ბრწეინვალე აღდგომის დღესასწაულზე, იესო ქრისტეს საფლავზე მონაზვნად აღკვეცა. (იმ დროს ჰეტრე 20 წლის იყო). მურვანოსს უწოდა ჰეტრე, ხოლო მითრიდატე ლაზს იოანე და წაიყვანა მონასტერში.

ჰეტრე და იოანე დღეინადგ ლოცულობდნენ, მარწულობდნენ და წარმატებულები იყვნენ ღვთისსათნო ეველა საქმეში – ასე განვლო ჰეტრეს ცხოვრების 25-მა წელმა. წმიდა ჰეტრემ იმდენად დათრგუნა თავისი ხორცი, რომ მისგან მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. სამოსელი მისი იყო საოცრად უბრალო და ჰგავდა მათხოვრისას. უფრო დიდი ღვაწლისათვის ისინი დიდი ხნით გადიოდნენ უდაბნოში და კვლავ მონასტერში ბრუნდებოდნენ. ამის შემდეგ მათ დატოვეს მონასტერი და იმ ფულის ნაწილით, რომელიც კონსტანტინეპოლიდან წამოიღეს, ქალაქში ააშენეს სახლი სასტუმრო, სადაც „განმსადგეს ფნთა საბანელი და ტრაპეზი და სარეცელები“. თავშესაფარს აძლევდნენ საქართველოდან ჩამოსულებს, ასევე ბერძენ მომლოცველებსაც. შემდეგ წავიდნენ უდაბნოში, შეკრიბეს ძმები და თავისთვის ააშენეს მონასტერი.

როცა მათი ღვაწლის შესახებ შეიტყო პატრიარქმა ანანტასიმ, ნეტარი ჰეტრე და იოანე თავისთან დაიბარა, მათი დიდი წინამძღვრობის მიუხედავად, მღვდლად დასახა ხელი და კვლავ მონასტერში გაეზაენა.

მონასტერში დაბრუნებისთანავე ჰეტრემ და იოანემ ეოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე ტაძრის მშენებლობა დაიწეს. ტაძრის მშენებლობის დროს ჰეტრე დაიღალა და დასასვენებლად დაწვა. მაშინ მას წინ დაუდგა ემძაკი. ის კიცხავდა ჰეტრეს და ეუბნებოდა: „რატომ არ დარჩი სატახტო ქალაქში, რათა გესვა და გეჭამა განცხრომით? აი, ხომ ხედავ როგორ სულ ტუეილად იშრომე. მადლი ვერ მიიღე. ფეხზე დგომაც კი არ შეგიძლია“. ხოლო წმიდა ჰეტრემ არაფრად ჩააგდო იგი და შერისხა: „წარვედ ჩემგან, ემძაკო,

მე მხოლოდ ჩემი ღმერთის იმედი მაქვს. სასოწარკვეთილი შენ ხარ და შენი მსახურნი“. მაშინვე ბოროტი კვამლად იქცა და გაუხინარდა. წმიდა ჰეტრემ კი ცრემლებით დაუწყო ღმერთს ვედრება. მაშინ გამოეცხადა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და უთხრა: „**რა არის ჰეტრე? რატომ ხარ დაღონებული? განა არ იცი, რომ ჩემს ხელშია სიცოცხლეც და სიკვდილიც და ჩემგან არის ცხოვრება. მე შრომას არაფის დაუუკარგავ, ზირიქით, მრავალგზის მივაგებ არა მარტო შრომისათვის, არამედ გაფიქრებისთვისაც კი. რამეთუ ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ ხორციელად და მაინც ჩემი რწმენა აქვთ, ვიდრე ისინი, ვინც მიხილა და მემსახურებოდა მე.** (იოანე 20,29). **ახლა კი ზეცას ახედე.**“ ჰეტრემ აიხედა და ზეცაში იხილა საუცხოოდ შემკობილი ტაძარი, რომელიც მზესავით ბრწეინავდა. მან ასევე იხილა დიდებით აღსავსე 50 კაცი, რომლებიც ტაძარში მსახურობდნენ და გალობდნენ. უფალმა ჰეტრეს უთხრა: „**აი, ტაძარი, რომელიც შენ ააშენე. ნუღარ წუხარ, იმხიარულე**“. თქვა რა ეს უფალმა, ზეცად ამაღლდა. წმიდა ჰეტრემ თავიანთი სცა და ადიდა უფალი ღმერთი. გამოლიერებულმა უფლის შეწვევითა და მადლით, დაასრულა წმიდა ეკლესიისა და მონასტრის მშენებლობა. თავი მოუყარა იქ მოღვაწე ეველა ბერს, დაუდგინა მათ წესი და კანონი და დანიშნა მონასტრის წინამძღვრად წმიდა და ღმერთშემოსილი მამა. ამ მონასტერს ჰქვია ქართველთა მონასტერი (ქართველთა მონასტერს მოგვიანებით VI საუკუნეში ჯვრის მონასტერი ეწოდა) (11. გვ. 13).

ამის შემდეგ ნეტარმა მამებმა ჰეტრემ და იოანემ დატოვეს მონასტერი და წავიდნენ უდაბნოში, სადაც მდინარე იორდანის ნაპირზე მონასტერი* ააშენეს. ღვთის მადლით მრავალი სასწაული აღესრულა მათ მიერ აშენებულ მონასტერში, რამეთუ ეოველ დღესას-

* მდინარე იორდანის ნაპირზე (იორდანის უდაბნოში) ბეთლემის მახლობლად აგებული ლაზთა (ბეთლემის) მონასტერი აღმოაჩინა და გამოიკვლია 1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ (12).



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა.

ამ ფრესკასთან დაკავშირებით საინტერესო ვარაუდი გამოთქვა ს. გაუხჩიშვილმა. მისი თქმით, თვალახვეული, სქემოსანი მონაზონი შეიძლება იყოს ჰეტრე იბერის მასწავლებელი და თანამოღვაწე, იოანე ლაზი (26. გვ. 13-14), რადგანაც როგორც „ჰეტრე იბერის ცხოვრებაში“ მოთხრობილი იოანეს სახესე ურვილი ვახუნდა, რომელმაც მას მხედველობა წაართვა.

მისი განკურნება მოხდა უფლის საფლავზე. ფრესკას ახლავს ქართული წარწერა: „იევენდ წელნი თქვენნი მორტყეულ და სანთლები აღნთებულ“ (ლუკა. 12:35).

წაულზე დიდი მოწიწებით გამოაბრძანებდნენ წმინდანების წმიდანაწილებს, რომელიც ნეტარ ჰეტრეს სულ თან ჰქონდა. აღავლენდნენ წმინდანების მიმართ სავედრებელ ლოცვებს და, მას შემდეგ, რაც ემთხვეოდნენ წმიდა ნაწილებს, მათ კვლავ თავის ადგილზე დააბრძანებდნენ. მუდამ ახსოვდათ მოციქულის სიტყვები „მოისვენებდეთ და ჰატოვს მიაგებდეთ წმინდანებს“.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი მათ მიერ აძენებულ მონასტერში იმყოფებოდნენ იორდანის ნაპირას, იოანეს სახესე მძიმე იარა, ურვილი (მუწუკი) ვახუნდა, რომელიც სახეს უჭამდა და თვალის ჩინს ართმევდა. იოანეს რცხვენოდა ხალხში გამოჩენა და სახეს ხელით იფარავდა. წმიდა ჰეტრემ წაიყვანა იგი იერუსალიმში უფლის საფლავზე. მსურვალედ ილოცეს და შემწეობა სთხოვეს უფალს. ლოცვის დამთავრების შემდეგ ეველამ იხილა, თუ როგორ გამოვიდა კაცის ხელი წმიდა ლორიდან (წმიდა გოლგოთას სათაყვანებელი კედელი) და შეესო თუ არა იოანეს სახეს, მაშინვე განიკურნა. ეველამ იხილა როგორ გადაეწმინდა იოანეს სახეს. იარის კვალად კი არ იყო დარჩენილი. მათ ღმერთი ადიდეს, რომელიც შეეწია წმიდა მამებს.

მოგვიანებით იოანე კვლავ ავად შეიქმნა. დაავადება სასიკვდილო იყო. ვინც კი მას ნახავდა, ამბობდა, რომ მისი გამოჯანმრთელება შეუძლებელი იყო. ნეტარს კი უხაროდა ამ სოფლის დატოვება, რადგან სასოებდა ღმერთსე, რომ იგი მიანიჭებდა მას საუკუნო ნეტარებას. წმიდა და ნეტარი ჰეტრე ძალიან განიცდიდა იოანეს უიმედო მდგომარეობას და ეძნელებოდა მასთან განშორება. ერთ დამეს, როცა ჰეტრე ლოცვად იღვა და ღმერთს იოანეს გამოჯანმრთელებას ევედრებოდა, მას ზეციდან ხმა მოესმა: „**ჰეტრე შენისიყვარულისა და მსურვალე ლოცვების გამო იოანე კიდევ თორმეტ წელს იცოცსლებს**“. მოულოდნელად იოანე ფესზე წამოღვა. მთელი სხეულიდან ქერცლი მოსცილდა და კანი ჩვილი ბავშვისას დაემსგავსა. ამის შემხედვარე ეველამ ადიდა ღმერთი, რომელიც

ასრულებს იმათ ნებას, ვისაც ღვთის შიში და სიუვარული აქვს. წმიდა ჰეტრემ უთხრა ნეტარ იოანეს, რომ მას ღვთისადმი მადლობის ნიშნად უსისხლო მსხვერპლი უნდა შეეწირა. ნეტარმა ჰეტრეს აუხსნა, რომ იგი წირვას ვერ ხაატარებდა, რადგანაც ხმა წართმეული ჰქონდა. რაზეც წმიდა ჰეტრემ უპასუხა „თუკი უფლისთვის საამო იქნება შენი შესაწირავი, იგი ხმას დაგიბრუნებს“. მამინ ადგა ნეტარი იოანე, შევიდა საკურთხეველში და დაიწყო ჟამის წირვა და მიეცა მას უფლისაგან ხმა ჰირველზე უკეთესი და უფრო ძლიერი.

ამის შემდეგ ნეტარ იოანეს თავის სენაკში ჰქონდა გამოცხადება. იხილა უფლის საშინელი სამსჯავრო (მეორედ მოსვლა). ჩვენება სამი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. მან იხილა საშინელი სამსჯავროსათვის გამზადებული საედრები (ტახტები). ცაზე, ღრუბლებში, გამოჩნდა ცხოველყოფილი ჯვარი. მან იხილა უფალი – მსაჯული ეოველთა, რომელიც საედარზე დაჯდა, ხოლო მის გარშემო ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, სერაფიმთა და ქერუბიმთა გუნდი. მან ასევე იხილა წმიდა მოციქულები, რომლებიც საედრებზე იხდნენ. წინასწარმეტყველები, ეოველნი წმიდანი და მართალნი, ქრისტე ღმერთის მარჯვნივ მდგომარენი. ნეტარი და წმიდა ჰეტრე და თვით იოანე საკურთხეველის წინ იხდნენ. მათ გარშემო კი მრავალი მონაზონი, რომლებიც მათ უფალს წარუდგინეს. იოანე ხედავდა როგორ ურიდნენ ზოგიერთებს, ჩაუქრობელ ცეცხლში, ზოგი კი ღებულადა უჭკნობ გვირგვინს. იოანემ ასევე იხილა ეოვლადწმიდა ღვთისმშობელი – მღვარი თავისი მის წინაშე, რომელიც ღოცულობდა მთელი სამყაროსათვის. ხილვა იმდენად შემზარავი იყო, რომ მისი გადმოცემა ადამიანის ენით შეუძლებელია, როგორც ამის შესახებ თვით ნეტარმა იოანემ გვიამბო. ამ ხილვის შემდეგ იოანე 30 დღის განმავლობაში არავის გამოლანჯარაკებია. ის ფიქრებით დედამიწაზე კი არა, ზეცაში იყო, ხოლო სახე ანგელოზს მიუგავდა.

წმიდა ჰეტრე, მისი მოწაფეები და ნეტარი იოანე გაემგზავრნენ

ეგვიპტეში. მათ მოილოცეს იქაური სკიტები და მოინახულეს მეუღაბნოე მამები. ჰეტრემ და იოანემ უდაბნოში აარჩიეს ადგილი, სადაც ააშენეს ტაძარი. მის გარშემო კი დააარსეს მონასტერი. წმიდა მამებმა ტაძრის საკურთხებლად ეპისკოპოსი მოიყვანეს. ტაძრის კურთხევის დროს მათ იხილეს წმიდა მარკოზ მახარებელი, რომელიც ნელსაცხებელს ცხებდა და აკურთხებდა მათ მიერ აშენებულ ტაძარს. ღმერთმა მრავალი სასწაული მოახდინა ნეტარი ჰეტრეს ხელით, როგორც მის მიერ აშენებულ ტაძარში, ისე მთელ ალექსანდრიაში მან განკურნა მრავალი ეშმაკეული, ბრმა, კოჭლი და კეთროვანი.

შემდეგ ისინი დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც მათ კვლავ ააშენეს სახლი – სასტუმრო (უცხოთა თავშესაფარი). შემდეგ ახალი ტაძრის* მშენებლობა დაიწყო.

მათ სიანგლოვეს ვინმე მდიდარი ერისკაციც აშენებდა ტაძარს. მას სახლურის გამო დავა ჰქონდა ჰეტრეს მოწაფეებთან. ერთ დღეს, როდესაც იოანე ტაძრის მშენებლებთან იმეოფებოდა მოდავე კვლავ აუხირდა, სახეში ხელი გაართვა და ტაძრის მშენებლები გაეარა. იოანემ არ უპასუხა, უსიტეოდ შევიდა ჰეტრესთან სენაკში და მომხდარის შესახებ აუწუა. წმიდა ჰეტრემ არ შერისხა მოძალადე, მშვიდად თქვა: „გასაკვირი იქნება, თუკი იგი არ მოკვდება ამ ღამეს“. გამოთენისას გაიგეს, რომ მათი მოდავე გარდაცვლილიყო, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ჯანმრთელი იყო. მას ღვთის რისხვამ უწია. მისი დასაფლავების შემდეგ წმიდა მამებმა კვლავ გააგრძელეს ტაძრის მშენებლობა და ღვთის შეწევნით კეთილად დაასრულეს.

ნეტარი მამები თავმდაბლად ემსახურებოდნენ ეველა მომსვლელს. ღებულადადნენ და აწურებდნენ ღლახაკებსაც და იერუსალ-

* ეს ის ტაძარია, რომელიც წმიდა ჰეტრემ ააშენა იერუსალიმში, სიონის ტაძრის ზემოთ (ხრდილოეთით), ე.წ. „ღვთის კოშკის“ ახლოს. მას ახლაც იბერთა მონასტერი ჰქვია (11. გვ. 11).

იმში სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მომლოცველებსაც. ერთხელ, მათ სურსათი გამოეღიათ. ჩვეულებისამებრ თავი მოიყარა უამრავმა გაჭირვებულმა და მომლოცველმა. წმიდა მამები ღმერთს მინდობილნი ლოცვად დადგნენ. ლოცულობდნენ და თან ქრისტეს ევედრებოდნენ: „უფალო, უფალო შენ ამბობ ნუ ზრუნავ სვალისთვის, რადგან სვალე იხრუნებს თავისთვის (მათე 6,34). მაგრამ როგორ მოვიქცეთ ახლა, როცა სურსათი გამოგვეღია შენი მონების გამოსაკვებად“. სანამ წმიდა მამები ლოცულობდნენ, ეველა ჭურჭელი გაივსოვნებლით, ფევილით, ზურით, მუხუდით, ზეთითა და ღვინით. ჭურჭლები ვერ იტევდა მათ სიმრავლეს. ამ სასწაულის მხილველებმა აღიღეს უფალი და გულუხვად გასცეს მოწველება.

არქიმანდრიტმა ზენონმა ჰეტრეს და იოანეს მონასტერში დაბრუნება ურჩია, რათა იქ ძმებთან ერთად მორჩილებით და თავმდაბლობით, მარწვითა და ლოცვით ეღვაწათ. ისინი დაემორჩილნენ მამა ზენონს და მონაზვნური ცხოვრება იერუსალიმთან ახლოს მყოფ მონასტერში გადასრძელეს. ისეთი შემართებით იღვწოდნენ, თითქოსდა ახლად აღკვეცილები იყვნენ. ეოველდღე იხვეჭდნენ სათნოებებს და სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე აღიოდნენ. ამ მონასტერში აღესრულა წმიდა და ნეტარი საჭურისი იოანე* – წარსდგა ის უფლის წინაშე მომღიძარე სანხით. იგი დიდი ჰატივით დაკრძალეს მათ მიერ აშენებულ ქართველთა მონასტერში. ხოლო ნეტარმა ჰეტრემ კიდევ მრავალი წელი იღვაწა მონასტერში, რომელშიც მამა ზენონმა გაგზავნა. მისი ღვაწლის შეფასება შეუძლებელია, რადგან იგი „უსესთავს იქმნა ბუნებისა კაცთასა და დიდად განითქვა სახელი მისი იერუსალიმში, ჰალესტინასა და ეგვიპტეში.“ ეველასთვის გახდა სანატრელი, ვითარცა ქრისტე ღმერთის ჭეშმარიტი მონა.

* 465 წლის 4 ოქტომბერს გარდაიცვალა წმიდა ჰეტრეს განუერელი სულიერი მკვობარი და მასწავლებელი იოანე ლაზი. (22. გვ. 0194)

იმ დროს მაიუმში (ღაზაში შემავალი ქალაქი) გარდაიცვალა ეპისკოპოსი. ქალაქის მაცხოვრებლებმა ჰატრიარქს თხოვნით მიმართეს: „წმიდაო მეუფე, ჩვენი ქალაქის ეპისკოპოსი გარდაიცვალა და ჩვენ ჰეტრე ქართველის გარდა სხვა ეპისკოპოსი არ გვინდა“. ჰატრიარქმა მისი მოძებნა ბრძანა. წავიდნენ და იზოვეს იგი უდაბნოში, რადგანაც ჩვენი წმიდა მამა უდაბნოს დიდი მოყვარული იყო, სადაც ხშირად განმარტოვდებოდა, რათა მარტოს ესაუბრა ღმერთთან. როგორც კი იზოვეს, დაიჭირეს და რომ არ გაქცეულიყო შეკრეს. ასე შეკრული წაიყვანეს. როდესაც წმიდანმა გაიგო, რომ მას ეპისკოპოსობას უპირებდნენ, ძალიან შეწუხდა და მწარედ ატირდა. ევედრებოდა გაემუათ და მიხეზად ასახელებდა იმას, რომ ცოდვილი იყო. მაგრამ ხალხი არ უსმენდა. გზაში ერთ სოფელთან შემოაღამდათ. წმიდანს გაქცევა რომ ვერ მოეხერხებინა, შეჩერდნენ მაღალსართულიან სახლში. წმიდა ჰეტრემ უთხრა მათ, რომ გაეხსნათ ღამე, ხოლო გამთენიისას ისევ შეეკრათ. მათ ჰეტრე გახსნეს. როდესაც ეველამ დაიძინა, ჰეტრე ჩუმად ადგა, გადაწვევიტა გადამხტარიყო. თან ფიქრობდა, რომ თუ გაქცევა ვერ მოახერხებდა სხეულის რომელიმე ნაწილს მაინც დაიზიანებდა და ამით იმ ჰატივისა და დიდებას მოაკლდებოდა, რომელსაც უმზადებდნენ, რადგანაც მას ამა სოფლის დიდება სძულდა. მაშინ მას უფალი გამოეცხადა ანგელოზთა დანთან ერთად და უთხრა: **„ჰეტრე, განა არ იცი რა ვუთხარი ჩემს მოციქულ ჰეტრეს, ფეხების დაბანისას რომ შეურჩებოდა“.** ჰეტრემ მწოლით მიუგო: „როგორ არ ვიცი, უფალო“. მაშინ უთხრა უფალმა: **„ახლა შენც იგივეს გეუბნები. მწვემსე ჩემი ცხვრები, თუ გინდა გკონდეს წილი ჩემს სამკვიდრებელში“** (იოანე 13,8; იოანე 26,16). უფალმა ანუგემა და გაამდიერა იგი. ამის შემდეგ უფალი ზეცად ამალდა. ხოლო ჰეტრე თავუანს სცემდა და აღიდებდა მის წმიდა სახელს. გამთენიისას ხალხმა ნეტარი ჰეტრე ჰატრიარქთან წაიყვანა, რომელსაც ჰეტრემ უთხრა, რომ არ იყო ღირსი ამ ჰატივისა. ოღონდ გაემუათ და თავის თავს უღირსს უწოდებდა და

იხმებდა თითქოს მრავალი ცოდვა ჩაედინოს მაშინ, როდესაც უბი-
წო იყო. მას არავინ უხმენდა. ჰატრიარქმა წაიუვანა წმიდა ჰეტრე
ტამარში და ღვთის ნებით მთავარეპისკოპოსად აკურთხა. ჰატრი-
არქმა იგი თავისთან დიდხანს გაახერა, რის შემდეგაც მიხვდა, რომ
ჰეტრე ღვთის დიდი მონა იყო. რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ
ჰატრიარქმა თავისთან იხმო ქალაქ მაიუმის მთავრობის წარმო-
მადგენლები, დამოდგრა ისინი, ხოლო ჰეტრეს შესახებ უთხრა:
„კაცნო, ღვთისმოყვარენო, უფალმა ღმერთმა თქვენ მოგცათ ეს
მწუქესი კეთილი. მას დაემორჩილეთ ისე, როგორც ქრისტეს, და
მთელი სულით და ხორციით მისდიეთ მას. მათ დიდი სინარულით
მიიღეს წმიდა ჰეტრე და ჰმადლობდნენ უფალ ღმერთს.

ჰატრიარქმა დიდი ჰატრივით გაგზავნა წმიდა ჰეტრე ქალაქ
მაიუმში საეპისკოპოსო კათედრაზე. როდესაც წმიდა ჰეტრე
ქალაქს მიუახლოვდა, მის შესახებ ვერაფერად გამოვიდა მაიუმის მოსახ-
ლეობა. ეველა, დიდი თუ ჰატარა ანთებული სანთლებით ხელში,
საკმეველის კმევითა და გალობით, დიდი ჰატრივითა და კრძალვით
შეიუვანეს იგი ჯერ ქალაქში, შემდეგ კი ტამარში. ღვთის ნებით,
იმ დღეს მრავალი სასწაული აღევლინა წმიდა ჰეტრეს ხელით,
რაც ეველას ახარებდა. ხალხი მადლობდა ღმერთს, რომელმაც მათ
ასეთი მწუქესი მოუვლინა.

ჰეტრე დიდი ხნის განმავლობაში არ ატარებდა წირვას. მაშინ
მას მოესმა ხმა, რომელმაც მოუწოდა: „**ჰეტრე გაამრავლე შენი ტა-
ლანტი* – შესწირე მსხვერპლი, რომ არ დაისაჯო იმ მონასავით,
რომელმაც თავისი უფლის ტალანტი მიწაში ჩამარხა.**”

უფლის ხმის გაგონებაზე ჰეტრე შეშინებული წამოდგა და დაი-
წყო ჟამის წირვა. ამ დროს საკურთხეველში იმყოფებოდნენ სასუ-
ლიერო ჰირები: მღვდლები და მონაზვნები. ეველა იქ მყოფმა დაინ-
ახა, ჰეტრემ „რა ჟამს განაწილა ხორცი იგი ქრისტესი (შეასრულა

* იგავი მოცემულ ტალანტებზე (მათე 25:14-30).

კვეთა*) აღივსო წმიდა საკურთხეველი სისხლითა“. თვით ნეტარი
ჰეტრე შეძრწუნდა და მოსცილდა წმიდა ტრაპეზს**. სეციდან მოისმა
ხმა, რომელმაც უთხრა ეპისკოპოსს: „**მსხვერპლის შეწირვა დაას-
რულე, რადგანაც ეს მოხდა არა შენთვის, არამედ ჩემთვის, რათა ევე-
ლამ იცოდეს, რაოდენ დიდებული და საშინელია ეს წმიდა შესწირი
(უფლის უსწრელი ხორცი) – საკურთხეველი, განსაწმენდელი და
განმანათლებელი სულისა და ხორცისა მათთვის ვინც შიშითა და
ძრწოლით მიეახლება მას, ხოლო დამსჯელი ბილწათვის გონები-
თა და გულით“.** იხილეს რა ეს სასწაული და მოესმათ ხმა სეციდან,
ეველას გაუნარდა და აღიდეს ღმერთი, რომელმაც მისცა მათ ასეთი
მწუქესი. ამიერიდან წმიდა ჰეტრეს ეველა ღვთის ანგელოზად მიიხ-
ნევდა.

450 წელს იმპერატორი თეოდოსი მცირე გარდაიცვალა. ტან-
ტზე მარკიანე (450-475) ავიდა. მან ქალაქ ქალკედონში 451 წელს

* კვეთა სრულდება წმიდა ტრაპეზიდან მარცხნივ, სამკვეთლოში. კვეთის
დროს მღვდელი სეფისკვერზე ღაზვრით სამჯერ გამოსახავს ჯვარს. შემ-
დეგ სეფისკვერიდან ამოკვეთს ოთხკუთხედ ნაწილს. ეს ნაწილი წარმოად-
გენს იესო ქრისტეს სხეულს, რომელიც ჩვენი ხსნისთვის შეიწირა. მას
ტარივი (შესწირი მღვენი) ეწოდება. სწორედ ტარივი (სეფისკვერიდან
ამოღებული ჰურის ნაწილი) წირვისას (მართალთა ლიტურგიის დროს)
გარდაიქცევა ქრისტეს ხორცად.

** ტრაპეზი – განახსიერების საღვთო ტანტს, სადაც თვით უფალი უნი-
ლაზადან დაბრძანებული. იგი დგას საკურთხეველის შუაში. წმიდა ტრა-
პეზზე სრულდება ღირების წმიდა საიდუმლო – ჰურისა და ღვინის უფ-
ლის ხორცად და სისხლად გადაქცევა. მღვდელმსახური წმიდა შესწირის
(ტარივის – წმიდა მღვენის) ტრაპეზზე გადასვენების შემდეგ განსა-
კურთხეული მოკრძალებით შესთხოვს უფალს სულიწმიდის გარდამოსვ-
ლას წმიდა მღვენზე. აკურთხებს ჰურსა და ღვინოს და წარმოთქვამს მათი
სისხლად და ხორცად გადაქცევის ლოცვას.

მოიწვია მეოთხე მსოფლიო კრება*, რომელშიც 630 ეპისკოპოსი

* მეოთხე მსოფლიო კრება მოწვეული იქნა მონოფიზიტთა ერესის განსახილველად. იმ ტაძარში, სადაც დიდმოწამე ეფემიას წმიდა ნაწილები იყო დაბრძანებული, წმიდა მამებმა ერთსულოვნად შეახვეწეს ეკლესიის ერესი. ერესი მდგომარეობდა შემდეგში: მაცხოვარში მისი განკაცების შემდეგ ღვთაებრივმა ბუნებამ სრულიად შთანთქა კაცობრივი. ამიტომ განკაცებულ ღვთის ძეში თავიანთი უნდა ვცემდეთ მხოლოდ ერთ – ღვთაებრივ ბუნებას. ამ სწავლებას მონოფიზიტური ეწოდება. მის მიმდევრებს კი მონოფიზიტები. კრებაზე დაამტკიცეს ქრისტეს ორი ბუნება: ღვთაებრივი და კაცობრივი. სანგრძლივი კამათის მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარეები ვერ შეთანხმდნენ. მაშინ მართლმადიდებელმა და მონოფიზიტმა მღვდელმთავრებმა დაწესეს თავიანთი საწმინთოების მრწამსი და საკუთარი ბეჭდით დალუქეს. იმპერატორ მარკიანეს თანდასწრებით წმიდა ეფემიას ლუსკუმა (კუბო) გახსნეს და ორივე გრაგნილი მკერდზე დაადეს. შემდეგ კუბო იმპერატორის ბეჭდით დალუქეს და ირგვლივ მცველები დააყენეს. ორივე მხარე გაძლიერებულ ღოცვასა და მარხვას მიეცა. სამი დღის შემდეგ ლუსკუმა გახსნეს. მართლმადიდებელთა გრაგნილი წმიდა ეფემიას მარჯვენა ხელში ეჭირა, მონოფიზიტთა კი მის ფეხებთან ევლო. წმიდა ეფემიამ ცოცხალივით ასწია ხელი და გრაგნილი მართლმადიდებელ ჰატრიარქს მიაწოდა. ამ სასწაულის შემდეგ მრავალი გზაბნეული დაუბრუნდა მართლმადიდებლობას (38. გვ. 35).

როგორც ცნობილია საქარია ქართველის „ჰეტრეს ცხოვრების“ მაკარიისეულ (XIII ს.) თარგ მანს ჩვენამდე ზირვანდელი სახით არ მოუღწევია. ქალკედონის კრებაზე კირილე ალექსანდრიელი სევეროსის და იაკობის მიმდევრებს ვერ შეახვეწებდა, რადგანაც ამ დროს კირილე ალექსანდრიელი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო სევეროსი და იაკობი კრების შემდგომი დროის მონოფიზიტი მოღვაწენი იყვნენ. შეუძლებელია XIII საუკუნეში ქართული ეკლესიის მესვეურებს არ სცოდნოდათ, რომ კირილე ალექსანდრიელი ქალკედონის კრების მონაწილე ვერ იქნებოდა და რომ სევეროსი და იაკობი შეეჭვსე საუკუნის მოღვაწენი იყვნენ და ეს შეცდომა ვერ შეეძინათ. როგორც ჩანს, ჰეტრე იბერის წმიდანად შერაცხვისას ქართულ ეკლესიაში მაკარი მესხის მიერ თარგმნილი ტექსტი სრული

მონაწილეობდა. კრებამ დაამტკიცა ქრისტეს ორი ბუნება. რადგანაც სევერიანელები და იაკობიტები არ აღიარებდნენ ქრისტეს ორ ბუნებას და არც მის განკაცებას ეოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან. ნეტარმა კირილე ალექსანდრიელმა და წმიდა მამებმა შეახვეწეს იაკობიტები და ეველა ის მწვალებლები, რომლებიც არ აღიარებდნენ ქრისტეს ორ ბუნებას და მის განკაცებას ეოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან.

მეფე მარკიანემ ზალესტინაში თავისი წარმომადგენელი გავზავნა, რათა ქვეყნიდან მწვალებლები* (მონოფიზიტები) განეღვე-

სახით არსებობდა და მხოლოდ მომდევნო დროის ავბედითი მოვლენების შემდეგად დაზიანდა (7. გვ. 159).

* ჰეტრე იბერის მოღვაწეობა ზალესტინაში ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთ ეველანზე რთულ ჰერიოდს – მონოფიზიტური ერესის წარმოშობა-გაძლიერებას დაემთხვა. განსაკუთრებით მძლავრად მან ფენი მოიკიდა ეკვიპტესა და სირია-ზალესტინაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალკედონის კრებაზე მართლმადიდებლობის გამარჯვებით განაწევენებულმა ეკვიპტური წარმომობის ბერმა თეოდოსიმ ზალესტინაში სახალხო ამბოხება მოაწყო. მან ადვილად შეძლო გაუნათლებელი ბერების დარწმუნება, რომ თითქოს ქალკედონის კრებამ ნიკეა-კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლოსაგან განსხვავებული საწმინთოებრივი განსახვრება მიიღო. ბერები, რომელთა რიცხვმა 10 000 მიაღწია, თეოდოსის წინამძღოლობით დამნაშავეთა ბრბოდ იქცნენ, თავიანთი მონასტრები და უდაბნოს სენაკები მიატოვეს და იერუსალიმში შეიჭრნენ, სადაც არც ხანძრის გაჩენასა და არც მკვლელობებს არ ერიდებოდნენ. მათ იერუსალიმის მართლმადიდებელი ჰატრიარქი იუბენალი ჩამოაგდეს და გააძევეს, ხოლო მის მაგვირად თეოდოსი აირჩიეს. იმპერატორი მარკიანე იძულებული გახდა იუბენალის კათედრაზე დასაბრუნებლად იერუსალიმში ჯარი გაეგზავნა. არეულობა ეკვიპტეში ალექსანდრიელმა ხუცესმა ტიმოთე ელურმა წამოიწყო, რომელსაც „ცოფიანი“ უმიხეზოდ როდი ეწოდა. ბარბაროსმა მწვალებლებმა ალექსანდრიის მართლმადიდებელი მთავარეპისკოპოსი ჰროტერიოსი ადღვომა დღეს სახათლავში მოკლეს, მისი აკაფული გვამის ნაწილები მთელ ქალაქში ათრიეს, ქალაქის დამცველი

ნა. მათ შორის ბრძოლა გაიმართა, რადგანაც უკეთურთა რიცხვი ძალიან დიდი იყო და შესაბამისადაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ბევრი მართლმადიდებელი დაიღუპა ბილწი მწვალებლების ხელით. თუმცა, საბოლოოდ უკეთურნი დამარცხდნენ.

ერთ დღეს, როდესაც წმიდა ჰეტრე ქამის წირვას ატარებდა, ცხადად იხილა ანგელოზებს დიდებით როგორ აჭყავდათ ზეცაში ღმერთთან მწვალებელთა მიერ წამებულ მართლმადიდებელთა სულები. ასევე იხილა მწვალებელთა (მონოფიზიტთა) სულები „შთანძავალნი ქვესკნელად ჯოჯოხეთად“. ჰეტრეს ეს ხილვა

გარნიზონი ვერაგ ულად გაანადგურეს და მთავარეპისკოპოსად ტიმოთე გამოაცხადეს. სირიაში მღვდელმა ჰეტრე ფულონმა (მკაწვრელმა) ანტიოქიის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მარტირიოსის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ჰარტია ჩამოაყალიბა, ტანტიდან ჩამოაგდო და მისი კათედრა თვითონ დაიკავა. უხდებოდა რა მოღვაწეობა მოძმლავრებულ ერესის ეპიცენტრში, როგორც ჩანს, ჰეტრე იბერი ბრძოლაში აქტიურად ჩაბმას ასკეტურ ცხოვრებას ამჯობინებდა, რაშიც ხელს ბუნებაც უწყობდა, „რამეთუ უდაბნოს-მოუვარე იყო წმიდაი ესე“ (7. გვ. 161-162).

“...უდაბნოში ჰეტრეს გაქცევა და მისი აშკარა მცდელობა არ ჩარეულიყო საეკლესიო დაპირისპირებებში, იმაზე მიუთითებს, რომ იგი იმ საერთო საფუძვლების ერთგული რჩებოდა რომელნიც ქრისტიანობაში დაპირისპირებულებას აერთიანებდნენ, მაგრამ ინტერპრეტატორებს ამის დანახვა არ სურდათ“ (6. გვ. 13).

იერუსალიმელმა მონოფიზიტმა ჰატრიარქმა თეოდოსიმ ჰეტრე იძულებით, მისი სურვილის წინააღმდეგ, ეპისკოპოსად აკურთხა. მიუხედავად იმისა, რომ ჰეტრემ თავი ერეტიკოსად გამოაცხადა, რადგანაც მონოფიზიტებისთვის ქალკედონიტები (მართლმადიდებლები) ერეტიკოსები იყვნენ. მალე იუბინალი იერუსალიმის ქალკედონიტი ჰატრიარქი (452წ.) ქალკედონის კრების შემდეგ იმპერატორ მარკიანეს ჯართან ერთად უკან დაბრუნდა და თეოდოსის მიერ დაქვემდებარებული ევვლა მონოფიზიტი ეპისკოპოსი გადააყენა ჰეტრეს გარდა. სახელგანთქმული ჰეტრე ხელუხლებელი დარჩა. როგორც ჩანს, მისი ქალკედონიტი მიმართულების გამო. (4. გვ. 14).

უფლისგან მიეცა იმიტომ, რომ თავისი სამწესოთვის ესწავლებინა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხოლო ურწმუნონი და მცირედ მორწმუნენი რწმენაში გაემტკიცებინა.

ღვთისმოყვარე და მართლმადიდებელმა მარკიანემ ექვს წელს იმეფა და დატოვა ეს ქვეყანა. მწვალებლებმა დრო იხელთეს, აღივსნენ, ცეცხლივით აინთნენ და დაიპყრეს ქვეყნის ზოგიერთი მხარე. ერთხელაც შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს მოეკლათ მღვდელმთავარი წმიდა ჰეტრე ქართველი. თან წამოიყვანეს ერმა, რომ მსაკვრულად მოეკლათ იგი. მაგრამ როდესაც ისინი კარს მიუახლოვდნენ, დააკაკუნეს და თქვეს: „წმიდაო ღვთისაო, კარები გაგვიღე და ეს ერმა განკურნე, რადგანაც იგი ბოროტისაგან იტანჯება. ამ დროს ზეციდან მოისმა ხმა: **„ჰეტრე არ გაუღო კარები, რადგანაც მსაკვარნი არიან“**. უსჯულოებმაც გაიგეს ეს ხმა და თავსარდაცემულები გაიქცნენ.

როცა ნეტარი მიხვდა, რომ მათ მსაკვრულად უნდოდათ მისი მოკვლა მითხრა: „შვილო ზაქარია, ადექი და წავიდეთ უცხო მხარეში, რათა ჩვენი სიკვდილით ესენი არ წარწყმდნენ“. დაპტოვით იქაურობა და მივედით ერთ სოფელში. იყო წმიდა კვირა დღე. წმიდა ჰეტრემ ბრძანა საკურთხევის მომზადება. მას სურდა ქამის წირვის დაქვემდებარება. მაგრამ სახლი, რომელშიც იგი აპირებდა წირვის ჩატარებას, აღმოჩნდა საკერპო. ამდღეებულ ადგილზე იდგა კერპები. ვუთხარი: „წმიდა მამაო, იქნებ არ ღირდეს აქ წირვის დაქვემდებარება, რადგანაც კერპები დგას?“ ხოლო წმიდანმა მითხრა: „შვილო ჩემო, ჩვენ ღმერთს შევწირავთ მსხვერპლს, ეშმაკებს კი არა“. როგორც კი დაიწყო ქამის წირვა, საცეცხლეშიდან გამოვარდა ცეცხლის ალი და შემუსრა კერპები. სახლს კი არაფერი ავნო. ამ სასწაულის მიღველებმა ღმერთი ვადიდეთ.

შემდეგ მივედით ერთ ქალაქში, სადაც დავეავით რამდენიმე დღე. ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქრისტიანი კაცი, რომლის ასული მძიმე სენით იყო დაავადებული. მამამ გადაწყვიტა გრძნეულის მოყ-

ვანა. დედა კი მივიდა წმიდანთან, ფეხებში ჩაუვარდა და ცრემლებით შესთხოვა: „შემიწებალე, ქრისტე ღვთის მონაჲ, განკურნე ჩემი ასული, იხსენი ჯადოქრის ხელიდან, რადგანაც მამამისს სახლში სურს გრძნეულის მოყვანა“. წმიდანს შეეცოდა ქალი და უთხრა: „ნუ ტირი, ქრისტე განკურნავს შენს ასულს. ხოლო რაც შეეხება გრძნეულს, არამგონია გათენებამდე იცოცხლოს“. წმიდანი ავადმყოფთან წავიდა, სცხო გოგონას წმიდა ზეთი, წმიდა სამების სახელით, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა სრულიად ჯანმრთელი, რისთვისაც ეველამ აღიდა უფალი. აღსრულდა ნეტარი ჰეტრეს სიტყვები, გრძნეული გამთენიისას იხოვეს მკვლარი. ჰეტრეს დიდების სახელი კი იმ არემარეს მოედო.

იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი დიდებული, რომელმაც წმიდა ჰეტრე და მასთან მყოფნი სადილზე მიიზატოჲა. წმიდა ჰეტრეს არ სურდა წასვლა, თუმცა ხათრი ვერ გაუტენა და ეწვია. როცა სუფრას მიუსხდნენ, თავადი ოჯახის წევრებს უხეშად მიმართავდა და ლანძღავდა, რადგანაც მას ფიცხი ხასიათი ჰქონდა. მაშინ წმიდანს ხმა მოესმა ზეციდან: **„ჰეტრე არ წაგიკითხავს წმიდა წერილში, რომ უოველი ცუდი სიტუებისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, ზასუს აგებენ მის გამო განკითხვის დღეს. რადგანაც შენი სიტყვებით გამართლდები და შენი სიტყვებით დაიხჯები. ჩემი სახელი იგმობა მაგ სახლში, შენ კი მანდ ხარ?“**. მაშინ წმიდა ჰეტრემ რაღაც მოიმიხეცა, სასწრაფოდ ადგა და ჩვენ დავტოვეთ მასწინძლის სახლი.

მეორე დღეს გავეშურეთ ქალაქგარეთ მყოფ მონასტრებში, რადგანაც ჰეტრეს წირვის დაუენება სურდა. წმიდანთან მივიდნენ იმ ქალაქის დიდებულნი და დაიწვეს ერისკაცთათვის დამახასიათებელი ფუჭი საუბარი და ბილწისიტუვაობა. წმიდა ჰეტრემ მათ არაფერი უთხრა და შევიდა ტაძრის საკურთხეველში ჟამის წირვის ჩასატარებლად. ამ დროს გამოეცნადა უფლის ანგელოზი, რომელიც საკურთხეველიდან მის გაგდებას ცდილობდა. წმიდა ჰეტრემ ცრემლებით ჰკითხა: „რა ჩავიდინე, რა დანაშაულისთვის ვისჯე-

ბი?“ უფლის ანგელოზმა მიუგო: „ჰეტრე, იმ დღეს, რომელ დღესაც აპირებ უფალს მსხვერპლი შესწირო, უსარგებლო საუბარს უურს ნუ დაუგდებ. ნუ შეაგინებ და ნუ განწინი შენ გულსა და გონებას. ნუ მიატოვებ შენს კეთილ გულმოდგინებას, რადგან უფლის წინაშე სუფთა, წმიდა გონება (გული, აზრები) უმაღლესია და აღმატებულია ნებისმიერ მსხვერპლსა და შესაწირავზე. ამჯერად მიგეტევა. ამის შემდეგ გაფრთხილდი, როცა დააპირებ ჟამის წირვის ჩატარებას“. წმიდა ჰეტრე ფეხებში ჩაუვარდა ანგელოზს, შენდობა სთხოვა და უფალი ღმერთი აღიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავტოვეთ იქაურობა. გზაში წმიდანი მრავალ სასწაულს ახდენდა. საღვთო სწავლებით მრავალი ადამიანი მოაქცია და ბევრი უძღური და სხეული განკურნა ქრისტე ღმერთის ძალით.

გავიდა ხანი. გაამეფდა ლეონ დიდი. ღვთის ეკლესიებში მშვიდობა დამეარდა. ამ სანატრელმა მეფემ მისწერა წმიდა ჰეტრეს, რომ თავის ადგილს დაბრუნებოდა. წმიდა ჰეტრე დაუბრუნდა თავის საეპისკოპოსო კათედრას და თავის სამწყსოს, რომელსაც მწვემსავდა ქრისტე ღმერთის მეწვენი. შემდეგ ქალაქგარეთ ააშენა მონასტერი, მშენიერი ეკლესიით. მოუყარა თავი ძმებს და დაუდგინა მათ წესი და კანონი საღვთო და სულიერი.

წმიდა ჰეტრე გამუდმებით მარხულობდა, რის გამოც მას კუჭი დაუავადდა. სამკურნალოდ ცხელ წყლებზე წასვლა ურჩიეს. როცა გაიგეს, რომ იგი მიემგზავრებოდა, თან გაჰყვა ქალაქის ახალგაზრდობა. მათ შორის ბევრი კერპთავიანისმცემელი იყო. ნეტარმა ჰეტრემ დამომღვრა ისინი და მონათლა თითქმის ორასი კერპთავიანისმცემელი. ეველას უხაროდა და აღიდებდნენ უფალს.

ამის შემდეგ ნეტარმა და წმიდა ჰეტრემ ისევ განაახლა მათთან საუბარი: „იმ დროს, როდესაც მოვედით ჰალესტინის ამ მხარეში, ვისურვეთ წასვლა იმ მთაზე, სადაც მიიცვალა მოსე წინასწარმეტყველი. მოსეს მთაზე ერთი დაუდებული წმიდა ბერი იყო. მან

სენაკიდან გამოსულად ორმოცი წელი იღვაწა. ჩვენს დანახვაზე წმიდა ბერმა მითხრა: „ქართველთა მეფის ძეგ, კეთილი იყოს შენი მობრძანება“. შენდობა ვითხოვე და ვთქვი, რომ ეს მართალი არ იყო. წმიდანმა კი მომიგო: „ნუ უარყოფ იმას, რაც ჩვენ ქრისტე ღმერთმა განგვიცხადა. შემდეგ მან წარმომიდგინა ჩემი ყოველი გზა და ისიც, რომ ხალხმრავალი ქალაქის ეპისკოპოსი გავხდებოდი. ის წმიდა ბერი ზუსტად ახლა გარდაიცვალა. როცა მე ვნათლავდი ამ ხალხს, ვინილუ ღმერთის წმიდა სული როგორ გადმოვიდა წმიდა ემბასზე (სანათლავზე) და აავსო იგი ერთ აღუწერელი ნათლითა და ბრწვინვალეებით. ასევე ვინილუ, თუ როგორ აჰყავდათ წმიდა ბერის სული ზეცაში დიდებით ღვთის წმიდა ანგელოზებს. ჩვენ უნდა წავიდეთ და ვეამბოროთ მის წმიდა ნაწილებს. თქვენ კი, შვილნო ჩემნო, შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ. გფარავდეთ ღვთის ძალა. მან ლოცვა-კურთხევით გაუშვა ისინი. ჩვენ კი წავედით წმიდა ბერის სენაკში. ვეამბოროთ მის წმიდა ნაწილებს, ვილოცეთ და წამოვედით.

გზად მიმავალნი მივადექით წმიდა ბერის სენაკს. წმიდა და ნეტარი ჰეტრეს დანახვა ბერს ძალიან გაუხარდა. ილოცეს, მოიკითხეს ერთმანეთი და საღვთო საუბარი წამოიწიეს. მან შემდეგ, რაც თქვეს ბერმა რამ სულისათვის სასარგებლო, ბერმა წმიდა ჰეტრეს უამბო: „სანამ მოვიდოდი ამ ადგილას, ვნახე ერთი ძღვიძე, რომელშიც ვინილუ ერთი გარდაცვლილი ბერი, მისი სახე მხეხავით ბრწვინვად. შიშითა და სიხარულით ვეამბოროთ მის წმიდა სახეს. დავიმახსოვრე ეს ადგილი და ამის შესახებ ვაცნობე ეველა ღვთისმოყვარეს. როდესაც უკან დავბრუნდით, წმიდანი იქ ვეღარ ვნახეთ. ეს სასწაული ჩვენ მინიშნებად მივიჩნიეთ და იმ ადგილას ტამარი ავაშენეთ. ღმერთს ვევედრებოდი გავცხადებინა ჩემთვის, თუ ვინ იყო ის წმიდა ბერი. უფლისგან მეუწეა, რომ ის ბერი იყო მოსე, დიდი წინასწარმეტყველთა შორის“. როცა ბერმა თხრობა დაამთავრა, ფეხები დაგვბანა. ჩვენ მასთან სამი დღე დავეავით. წასვლისას წმიდა მამამ დაგვლოცა და გზა გავაგრძელებთ.

იქიდან წამოსულები მივედით ერთ ადგილას, სადაც დიდხანს არ უწვიმია. დაბის მოსახლეობა მივიდა წმიდა ეპისკოპოსთან და სთხოვა ელოცა, რომ წვიმა წამოსულიყო. წმიდანი ლოცვად დადგა. ლოცვის დამთავრებისთანავე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. კერძთავეანისმცემლები ამ სასწაულის ხილვის შემდეგ წმიდა ჰეტრეს ხელით მოინათლენ და ეველა ადიდებდა უფალს.

წამოვედით იმ ადგილიდან და მივედით ერთ სოფელში, სადაც ერთმა უშვილო კაცმა გვიმასწინძლა. იგი შევედრა წმიდა ჰეტრეს ელოცა, რათა ღმერთს მისთვის შვილი მიეცა. სხვებიც მოვიდნენ იმავე თხოვნით. წმიდა ჰეტრემ ილოცა და მათ ჯვარი გადასახა. ეველას შეეძინა შვილი და ადიდეს უფალი. სადაც კი მივიდოდით, სოფლებში თუ ქალაქებში, იგი ეველგან სასწაულებს ახდენდა.

ამჯერად ერთ სოფელში მივედით, რომლის სახელი იყო ატომკონი. იქ სულთმოფენობის დღესასწაული აღვნიშნეთ. სოფელში ცხოვრობდა დედოფლის ერთი მოხელე, სახელად ელია. დიდდ სტუმართმოყვარე და გლახაკთმოწეალე. ელია იყო ერუ. ერთხელ, როცა მასთან ვისხედით, მან ნეტარისა და წმიდა ჰეტრეს საბეჭური (სამღვდელო სამოსელი) აიღო, როგორც კი ეურთან მიიღო, მამინვე დაუბრუნდა სმენა და ადიდა უფალი.

ელიამ მთელი ზაფხული თავისთან დაგვტოვა, რადგან ადგილი იყო გრილი, ჰაერი კი სუფთა. იქ იყო ტბა. ელია გაუშვებდა თავის მსახურს ტბაზე სათევზაოდ და ისიც ეოველდღე თითქოს ღვთის განგებით ერთ თევზს იჭერდა. ამ თევზს წმიდა ეპისკოპოსს მიართმევდნენ. იქვე, მახლობლად ერთი სხეული მთავარი ცხოვრობდა. მან მოისურვა თევზი, რომელსაც ეპისკოპოსს მიართმევდნენ. ელიამ გაგზავნა მთევზეები. იმ დღეს მათ ორი თევზი დაიჭირეს. წმიდა ჰეტრემ ერთი თევზი გაუგზავნა მთავარს, თან შეუთვალა, რომ იგი სასოებდა ქრისტე ღმერთზე, ამიტომ ამ თევზით განიკურნებოდა. მართლაც, როგორც კი მთავარმა თევზი მიირთვა, იმწამსვე განიკურნა და ღმერთი ადიდა.

ამის შემდეგ წამოვედით იქიდან და მივედით ერთ სოფელში. ამ სოფლის მოსახლეობა მარცვლეულს არ თესავდა. საზრდოს ისინი ღვინით მოიპოვებდნენ, რადგან მხოლოდ მკვინახეობას მისდევდნენ. ვენახს ჭია გაუჩნდა, რის შესახებაც წმიდა ჰეტრეს აცნობეს. წმიდანმა ვენახზე საპატივებლად მათ მისცა ნაკურთხი წყალი. როგორც კი აპკურეს, ჭია გაქრა. სოფლის მოსახლეობამ აღიდა ღმერთი.

წამოვედით იმ სოფლიდან და მივედით წმიდა მამა ესაიას მონასტერში, სადაც მრავალი დღე დავეავით. „ნეტარნი და წმიდანი მამანი უთხრობდეს საქმეთა მათთა ურთიერთას მადლითა წინასწარმეტყუელებისათა“, რადგანაც ეს წმიდა მამები ივენენ ქვენიერების ორი დიდი მნათობი, ორივენი დიდ სასწაულებს აღასრულებდნენ და თავიანთი სწავლებით მრავალი სული მიჰყავდათ უფალთან. მათი სენაკები ერთმანეთისაგან ოთხი მილიონით (მილიონი – ათასი ნაბიჯი) იყო დაშორებული. მამა ესაია ხელსაქმით ირჩენდა თავს და გამუდმებული მარხვისაგან დაუძღვრებული იყო. ყოველ კვირას მამა ესაია თავისი სენაკის კარებს აღებდა და წმიდა ჰეტრეს ორ სეფისკვერს მოუკითხავდა. წმიდა ჰეტრე კი ნეტარსა და წმიდას უგზავნიდა ორ თევზს. როცა წმიდა მამები ერთმანეთს ხვდებოდნენ, სულიერად ხარობდნენ ქრისტეს მადლმოსილი სიყვარულით აღვსილნი.

ღვთისმსახურება და წმინდანების დიდმა მოკვარულმა მეფე ლეონ დიდმა 17 წელი იმეფა და გარდაიცვალა. ნეტარი მეფის ლეონის შემდეგ ზენონი გამეფდა. მეფე ზენონიც ღვთისმოყვარე და მორწმუნე იყო. მეფეს ვაგონილი ჰქონდა წმიდა მამების – ესაიასა და ჰეტრეს – მოღვაწეობის და იმ დიდი სასწაულების შესახებ, რომლებსაც ისინი ახდენდნენ. მეფემ მოინდომა წმიდა მამების ნახვა და მათთან თავისი საჭურისი ვაგზავნა. როცა წმიდა და ნეტარმა ჰეტრემ ამის შესახებ შეიტყო, ძალიან შეწუხდა. იგი შევიდა სადიაკონოში, ატირდა და უფალს შესთხოვა არ დაეშვა მეფესთან მისი ვამგზავრება. ღამით ნეტარმა ჰეტრემ დატოვა იქაურობა და უცხო

ქვეყანაში ვამგზავრდა. საჭურისმა მეფის წერილი ნეტარ ესაიას გადასცა. როცა ნეტარმა ესაიამ მეფის წერილი წაიკითხა, ძალიან შეწუხდა და უფალს სთხოვა მას რაიმე სწეულება შეჰქროდა. უცებ ისე განივდა, რომ სენაკიდან გამოსვლა ვერ შესძლო. ამის შემხედვარე საჭურისი უძღური შეიქნა რაიმე ელონა და უკან გაბრუნდა. წავიდა თუ არა საჭურისი, მამა ესაია გამოჯანმრთელდა. ნეტარი მამის ესაიას ცხოვრება და მოღვაწეობა და მის მიერ მოხდენილი სასწაულები, ღვთის მადლით, ჩვენ მიერ უკვე იქნა აღწერილი. ჩვენ კი დავუბრუნდეთ წმიდა ჰეტრეს შესახებ თხრობას.

ნეტარი და წმიდა ჰეტრე უცხო ქვეყანაში შეხვდა ერთ მებოსტნეს, რომელიც იყო კეთილი და გულწრფელი ადამიანი. ნეტარი ჰეტრე მასთან შეჩერდა. ერთხელ, ღამით მებოსტნეს ჰქონდა ჩვენება: იხილა კაცი, რომელმაც უჩვენა ადგილი, სადაც უნდა წასულიყო იმიტომ, რომ იქ წმიდა მოწამეები განისვენებდნენ. კაცის მითითებით მებოსტნეს მიწიდან უნდა ამოეღო წმიდანთა წმიდა ნაწილები და ეპისკოპოს ჰეტრე ქართველისთვის გადაეცა. გამთენიისას მებოსტნემ ამ ჩვენების შესახებ ნეტარ ჰეტრეს აუწუა. წმიდა ჰეტრემ უთხრა: „მეილო, წადი და ამ ხილვის შესახებ აუწუე თქვენს ეპისკოპოსს და როგორც ის გიბრძანებს, ისე მოიქეცი.“ მებოსტნე წავიდა და ადგილობრივ ეპისკოპოსს მოახსენა მომხდარის შესახებ. ეპისკოპოსი მივიდა ნეტარ ჰეტრესთან. მათ შეკრიბეს ხალხი, ადავლინეს სავედრებელი ლოცვები და დიდი მოწიწებით ამოაბრძანეს წმიდა მოწამეთა ნაწილები. წმიდა ჰეტრემ უბრძანა მებოსტნეს ელოცა, რომ ვაგო წმიდა მოწამეთა სახელები. კეთილმა მებოსტნემ ლოცვა დაიწყო. ლოცვისას მან იხილა სამი კაცი. ისინი მის წინ იდგნენ, თავზე შარავანდელი ედგათ და ბრწვინავდნენ. წმიდანებმა მებოსტნეს შემდეგი აცნობეს: „ჩვენი სახელები ზეცაშია დაწერილი, ერში ჩვენი სახელები იყო: ლუკა, ფოკა და რომანოზი. ვეწამეთ სპარსეთის მბრძანებლის მიერ. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღსარებისათვის. ჩვენი სხეულები ცეცხლში ჩაიფარულა და მხოლოდ ის დარჩა, რას-



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა. წმიდა იოანე ნათლისმცემელი და მისი მამა წინასწარმეტყველი წმიდა მღვდელმთავარი ზაქარია.

აც ხედავთ. წმიდანების სახელზე ტამარი ააძენეს, სადაც წმიდანთა ჰატიოსანი ნაწილები დააბრძანეს. ტამარი აკურთხა ორმა ეპისკოპოსმა და ჩვენც ვადიდეთ ღმერთი.

სანამ ჩვენ იქ ვიუავით, ჩვენი ტამარის მღვდელმთავარი მოვიდა და წმიდა ჰეტრეს მოახსენა, რომ მის სახელზე მეფე ზენონისაგან კიდევ ერთი წერილი მოვიდა. წერილში ეწერა: „ილოცეთ ჩემთვის, წმიდა მამებო, ჩემთან მოსვლით კი ნულარ შეუწუხდებით.“ წმიდანი გაახარა მეფის გადაწვევტილებამ.

იქიდან ჩვენს ქალაქში გამოვემგზავრეთ. ქალაქის მაცხოვრებლები ანთებული სანთლებით ხელში, გალობითა და საკმევილის კმევით შემოგვებნენ წმიდა ეპისკოპოსს, მის წინაშე მუხლი მოიდრიკეს და თავუანი სცეს. წმიდა ჰეტრემ აკურთხა და ამბოროს ეოფით მოიკითხა ისინი. ხალხიც, თავის მხრივ, ეამბორა მის წმიდა სახეს. ეველანი ერთად გავეშურეთ ქალაქისაგან. შევედით წმიდა ეკლესიაში და ვილოცეთ. მთელი ქალაქი ხარობდა მწვემსთავრის დაბრუნებას. მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი, რათა წმიდანის ქადაგებისთვის მოესმინა. ეველა მონატრებული იყო მის სილვას და მისი სწავლების მოსმენას. წმიდა ჰეტრემ, ჭეშმარიტმა მწვემსმა, ხალხს ჯვარი გადასახა და მათი დამოდვრა დაიწყო: „ჩემო შვილებო, ძმებო და ქრისტესთვის საეუარელნო, უპირველეს ეოვლისა, დაიცავით წმიდა სამების წმიდა და მართალი სარწმუნოება. მოიხვეჭეთ სასოება (იმედი), სიუვარული, სიმდაბლე, სულგრძელობა, მოთმინება, სიკეთე და სიმშვიდე. იუავით გლახაკთა მოწვალე, სტუმართმოყვარე, უცხოთა შემწენარებული და მათზე მზრუნველი. ესწრაფეთ შრომას საღვთოს და სულიერს. მიბამეთ საღვთო და წმიდა ადამიანებს. აკეთეთ კეთილი საქმეები და მოიხვეჭეთ წმიდა სათნოებანი. დაემორჩილეთ თქვენს წინამძღვრებს, ვითარცა ღვთის ანგელოზებს. მათი ნათქვამი დაიმანსოვრეთ, ვითარცა ღვთის ჰირისგან გამოსული. წმიდა ჰეტრემ მათ კიდევ სხვა მრავალი სულისთვის სასარგებლო რჩევა მისცა. ეველას უხაროდა და ადიდებდა ღმერთს.

ქადაგების შემდეგ ქალაქის მთავარმა სადილზე დაგვამატიყა. მივუსხედით თუ არა სუფრას, ვიღაც მოვიდა და მამა ესაიას გარდაცვალება, საიდუმლოდ გვაუწყა. ჩვენ არ ვისურვეთ წმიდა ჰეტრესთვის მაშინვე გვეთქვა. თუმცა, მას სულიწმიდისაგან ეუწყა ამის შესახებ. როცა სუფრიდან წამოვდექით, მან გვითხრა: „ჩემო შვილებო, რატომ გიკვირთ მამა ესაიას გარდაცვალება, მოციქულებიც და წინასწარმეტყველებიც გარდაიცვალნენ. თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ შესვა ეს სასმისი.“ გვითხრა თუ არა, შევიდა თავის სენაკში, დაემხო მაცხოვრისა და წმიდა დედოფლის ღვთისმშობლის ხატების წინ, ცხარე ცრემლებით ატირდა და მხურვალედ შევედრა: „ნეტარო და წმიდა, მამაო ესაია, დღეს შენ განვედი ამ ქვეყნიდან. მალე მეც სიკვდილი მელის. ამიერიდან იუავი ჩვენი შემწე და ქომაგი წმიდა სამების წინაშე.“ წმიდა ჰეტრე დიდხანს ევედრებოდა უფალს მხურვალე ცრემლებით.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენთან მოვიდა მამა ესაიას მოწაფე და მისი სიკვდილის შესახებ გვაუწყა. ჩვენ ვკითხეთ თუ რა დროს გარდაიცვალა იგი. მან გვიამბო შემდეგი: „როცა მამა ესაია ავად განდა, მივედით მისი სენაკის კარებთან, ამ დროს იგი ვიღაცას ესაუბრებოდა. როცა შიგნით შევედით, სენაკში მის მეტი არავინ იყო. ჩვენ ვკითხეთ თუ ვის ელაპარაკებოდა იგი. ნეტარმა მოგვიგო: „დიდი იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი მოვიდა და მითხრა, რომ ჩემი სულის წასაყვანად სამი დღის შემდეგ მოვიდოდნენ. მე ვკითხე დიდ იოანეს, თუ რით იკვებებოდა იგი უდაბნოში. მან მიმასახრა: „მწვანეთაგან და მცენარეთა და თივათაგან იყო საზრდელი ჩემი“ როცა მამა ესაიამ გვიამბო ამის შესახებ ჩვენ გაუოცდით და ვადიდეთ ღმერთი. სამი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა და წარსდგა უფალთან. როცა ძმებმა შეიტყვეს მისი გარდაცვალების შესახებ, მოვიდნენ, მიიღეს კურთხევა მისი წმიდა ნაწილებიდან და მისი ზატიოსანი და წმიდა სხეული დაკრძალეს. სანამ ცოცხალი იყო, მე ვკითხე: „წმიდა მამა ესაია, როგორ მოვიქცე მე თქვენს შემდეგ?“

რასეც ნეტარმა მიმასახრა: „შვილო ჩემო, წადი ეპისკოპოს წმიდა ჰეტრე ქართველთან და მასთან დარჩი, რადგანაც ჩვენ შემდეგ ეს აღკილი გაუდაბურდება.“ ასეც მოხდა.

ერთხელ, ერთი ურია მეთევსე მოვიდა. იგი წვალმაკით იყო დაავადებული, მუცელი უსაშველოდ ჰქონდა გასიებული. ურია ნეტარსა და წმიდა ჰეტრეს ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვა განეკურნა იგი. წმიდანმა უთხრა: „სახლში წადი. თუ ამ დამეს გამოჯანმრთელდები, მაშინ ხვალ მოდი და მოგ ნათლავ, თუ არა და ნულარ მოხვალ.“ წმიდა ჰეტრეს ლოცვით ურია იმ დამესვე განიკურნა, გამთენიისას კი მოინათლა წმიდა ეპისკოპოს ჰეტრეს ხელით და ღმერთი ადიდა.

ნეტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს სათნოებათა გვირგვინად ლოცვა და წიგნის კითხვა მიაჩნდა. თვითონაც დღენიადაც საღვთო წიგნების კითხვაში იყო. ნეტარი ამბობდა, როგორც ვენახი ნაყოფს არ იძლევა წელის გარეშე, ასევე მონაზვნის გონება უნაყოფაა წიგნის კითხვისა და სულიერ სწავლათა სმენის გარეშე.

ჩემო საყვარელო ძმებო, დადგა დრო გაუწყობ წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს აღსასრულისა და წმიდა სამების წინაშე მისი წარდგომის შესახებ. ნეტარმა თვითონაც კარგად იცოდა თავისი ამ ქვეყნიდან გასვლის დღე და საათი. ერთ დღეს მან ეველა თავისთან ინძო და დიდხანს მოძღვრავდა. გადასცა მათ საღვთო და სულიწათვის სასარგებლო სწავლება. წმიდანის სწავლებამ მათზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ დიდხანს ტიროდნენ. ქადაგების შემდეგ კი დაუფარავად ღიად გვითხრა: „შვილებო და ძმებო, მოახლოებულია ჩემი ამ ქვეყნიდან გასვლის დრო. მალე დაგტოვებ და წავალ გზით, რომლითაც არასოდეს მივლია. თქვენ კი, საყვარელო, განსოვდეთ თქვენდამი ჩემი სიყვარული და არ დამივიწყეთ.“ წმიდანის სიტყვებმა ეველა დამწუხრა და აატირა. წმიდანმა მათ ჯვარი გადასახა, დალოცა, გამოემშვიდობა და გაუშვა. თვითონ კი შევიდა სენაკში, დაემხო მაცხოვრის ხატის წინ მხურვალე ცრემლებით შეავედრა უფალს თავისი სამწესო და მთელი ქვეყნიერება.

ჩვენთან იყო ერთი ძმა, სახელად ათანასე. წმიდა, კეთილი, მშვიდი და მდაბალი, რომელიც იყო წმიდა მამა ზენონ სკიტელის მოწაფე. მამა ათანასემ ჰკითხა მომაკვდავ მოძღვარს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მისი გარდაცვალების შემდეგ. მამა ზენონმა უპასუხა „შვილო ჩემო ათანასე, ჩემი სიკვდილის შემდეგ წადი წმიდა ეპისკოპოს ჰეტრე ქართველთან. ის, ვინც მის მორჩილებაში იქნება, ჭეშმარიტ გზას ივლის“. მამა ზენონის გარდაცვალების შემდეგ, მამა ათანასე მოვიდა წმიდა ჰეტრესთან და ორი წელი დაჰყო ჩვენთან.

ერთ ღამეს მამა ათანასე მწარედ ტირიდა. როდესაც ნეტარ ჰეტრეს მისი ტირილის ხმამოესმა, თავისი სენაკის კარი გააღო და ჰკითხა: „შვილო ათანასე, რა მოხდა, ასე მწარედ რატომ ტირი?“ მამა ათანასემ უპასუხა: „წმიდა მამა, რატომ მეკითხები იმას, რაც შენთვის წმინდანისთვის ისედაც ცნობილია.“ წმიდა ჰეტრემ კვლავ ჰკითხა სიმდაბლით: „თქვი, შვილო, რადგან არ ვიცი.“ ამასე ათანასემ მიუგო: „წმიდაო, ვეგლაფერი კარგად უწვი, თუმცა ნიშნად მორჩილებისა, გეტყვი რაც ვიხილე. ამ ღამით ჩემთან, უღირსთან, მოვიდა ჩემი მოძღვარი მამა ზენონი, მომიკითხა და მითხრა: „უფალი ბრძანებს, რომ რამდენიმე დღეში წმიდა ეპისკოპოსი ჰეტრე ქართველი წაისდგება მის წინაშე, რადგან წმიდანები ევედრებოდნენ უფალს, წმიდა ეპისკოპოს ჰეტრე ქართველს დაეტოვებინა თავისი სხეული და მათთან დამკვიდრებულიყო, რამეთუ წმიდა ჰეტრემ დიდხანს ტანჯა თავისი ხორცი უფლის სიყვარულისათვის, ახლა იგი დაუძღვრებულია. უფალმა მათ მიუგო: „მისი ეოფნა საჭიროა ამ ქვეყნად, რათა მრავალი სული დააყენოს ჭეშმარიტ გზასზე.“ წმიდანები კი კვლავ ევედრებოდნენ უფალს ჰეტრეს წამოეყვანას. მამინ უფლის შემომქმედმა ღმერთმა ბრძანა ათი დღის შემდეგ წმიდანები შეკრებილიყვნენ და მისუღიყვნენ ეპისკოპოს ნეტარ ჰეტრე ქართველთან და მისი სული წამოეყვანა ალექსანდრიის პატრიარქ წმიდა მოწამე ჰეტრეს. ძმა ათანასემ უამბო წმიდა ჰეტრეს თავისი წილვის შესახებ და თან მწარედ მოთქვამდა: „უნდა ვიგლოჯოთ ჩვენი ობ-

ლობა, წმიდაო, რამეთუ გვტოვებ.“ წმიდა ჰეტრემ მოთმინებისკენ მოუწოდა და ანუგეშა იგი საღვთო სწავლებით.

იმ დღიდან მოყოლებული წმინდანს არაფერი უნძია. ათი დღის განმავლობაში ხელაშეობილი ლოცულობდა. ერთ დღესაც, თავისთან გვიხმო, ნუგეში გვცა, განგვაძტკიცა სულიერი სწავლებით და ეკლესიის წესი და რიგი დაგვიდგინა. როცა მეათე დღე დადგა, შევიდა ტამარში, მოუხმო თავის სამწესოს და დამძღვრა ისინი. შემდეგ ჟამის წირვა ჩაატარა. ჯერ თავად, შემდეგ კი მღვდლები და მრევლი აზიარა. ღვთისმსახურების შესრულების შემდეგ კი შეკრებილთ მშვიდობა უსურვა და უთხრა: ჩემო საყვარელო შვილებო, ამიერიდან ვეღარ მიხილავთ“. ეგვლა ატირდა. მღვდლები და დიაკონნი ეამბორნენ მის წმიდა სახესა და ხელებს. ხალხიც ეამბორა მის წმიდა ფეხებს და სამოსელს, თან მწარედ მოთქვამდა. წმიდანმა კი უთხრა: „რას აკეთებთ, რატომ მიმფოთებთ სულს? ჩემო შვილებო, წადით სახლებში, დაისვენეთ და, როცა საჭირო იქნება კვლავ მოგიხმობთ“. ძლივს დაარწმუნა ისინი სახლებში წასულიყვნენ. ჩვენ კი გვითხრა: „ჩემო შვილებო, თქვენც დაისვენეთ. ნუღარ შემაწუხებთ“ და სატრანჟეზოდ გაგვიშვა.

თვითონ კი ერთ-ერთ ძმასთან ერთად თავის სენაკში შევიდა და უფლის მიძარტ ილცა. როცა სუფრიდან ავდექით, წმიდანმა თავისთან გვიხმო. გზაში საოცარი სურნელი ვიგრძენით. სენაკში შევედით და წმიდანს თავიანთ ვეცით. ნეტარმა და წმიდამ ჯვარი გადაგვასხა და გვაკურთხა. შემდეგ სახესე პირჯვარი გადაისხა და მართალთა ძილით დაიძინა. ანგელოსთა დასმა და მრავალმა წმინდანმა, რომელთაც წინ უძღოდა წმიდა მღვდელთმთავარი ჰეტრე ალექსანდრიელი,* მისი წმიდა სული დიდი მოწიწებითა და

* მღვდელმოწამე ჰეტრე – ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი დაიბადა და აღიზარდა ალექსანდრიაში. 300 წელს იგი გახდა ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი. იმპერატორ დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს მიერ ქრისტიანთა დევნისას, ნეტარი ჰეტრე ქალაქიდან განდევნეს. მღვდელმთავარი

გალობით ზეცაში აიყვანა. ასე დიდებითა და ჰატივით წარუდგინეს წმიდანი უფალს. უფალმა მას უთხრა: „კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირეთსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შევედ (შედი) სინარულსა უფლისა შენისასა (მათე 25:23). დიდი შრომითა და ღვაწლით გალუული მისი წმიდა ნაწილები ტამარში დაასვენეს.

სწრაფად გავრცელდა ხმა წმიდანის გარდაცვალების შესახებ. მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი ქალაქიდან და ახლომდებარე სოფლებიდან. დიდებულები და თანამდებობის ჰირები, წარჩინებულნი და გლახაკნი, ახალგაზრდები და ხანშიშესულები მოდიოდნენ მასთან გამოსამშვიდობებლად, ცრემლებს ღვრიდნენ და ეამბორებოდნენ მის წმიდა ნაწილებს. ეოველი მხრიდან მოჰყავდათ უძლურნი, მძიმე სენით შეპყრობილნი, ბრძები, კოჭლები და ემძაკეულნი. როგორც კი

ფარულად ნახულობდა საპყრობილეში გამოძვედრულ ქრისტიანებს, ეხმარებოდა ქვრივებსა და ობლებს, ქადაგებდა ღვთის სიტყვას და ღვთისმსახურებას აღასრულებდა. ღვინისა და შვეიწროების მიუხედავად ალექსანდრიის ეკლესია ჰეტრე ალექსანდრიელის ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცდებოდა და იზრდებოდა. ბოლოს იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) ბრძანებით მღვდელმთავარი შეიპყრეს. წმიდა ჰეტრემ ხელისუფლებას წერილობით შესთავაზა, ციხის უკანა კედელი გაერღვიათ და ხალხისაგან ფარულად გაეყვანათ იგი სიკვდილით დასასჯელად, რათა ხალხის აჯანყება და სისხლისღვრა აცილებინათ თავიდან. წმიდა ჰეტრეს სწორედ იმ ადგილას მოკვთეს თავი, სადაც ადრე წმიდა მოციქული მარკოზი დასაჯეს სიკვდილით. ეს მოხდა 311 წელს. მორწმუნეებმა წმიდა ჰეტრეს ცხედარი ეკლესიაში დააბრძანეს და წესის აგების დროს შეძალღებულ ადგილას დაასვენეს. სიცოცხლეში ჰეტრე მხოლოდ კვარცხლბეკთან ჯდებოდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, ამ ადგილზე ვარს შემოვლელულ ღვთაებრივ ნათელს ხედავდა და მასზე ასვლას ვერ ბედავდა.

მართმადიდებლობის დიდი მოსაზრე — ჰეტრე ალექსანდრიელი ცნობილია, როგორც დიდი ღვთისმეტყველი და საეკლესიო მწერალი (ხს. 25 ნოემბერი) (38. წ. 2. გვ. 456).

შეეხებოდნენ ნეტარი ჰეტრეს წმიდა ნაწილებს და მის შესამოსელს, მაშინვე იკურნებოდნენ და უფალს აღიდებდნენ. დიდი იყო ცრემლით განზავებული, მწუხარებაცა და სინარულიც. სინარული გამოწვეული იყო იმ დიდი სასწაულებითა და კურნებებით, რომელთაც ჰეტრეს წმიდა ნაწილები ახდენდა. მწუხარება და გლოვა კი იმის გამო, რომ ასეთ მნათობს დასცილდნენ სორციელად. სამი დღე-ღამის განმავლობაში ემშვიდობებოდნენ თავის სულიერ მოძღვარს.

იმდენად დიდი იყო გამოსამშვიდობებლად მოსული ხალხის სიმრავლე, რომ სამი დღის შემდეგ ძლივს მოვანერხეთ მისი დაკრძალვა. დაკრძალეთ მის მიერ აგებულ ტამარში, ისეთი დიდი ჰატივით, როგორც წმიდანს შეეფერებოდა. ერთო უამრავი სახთელი, მრავალი კელაპტარი, იკმეოდა საკმეველი და ისმობდა გალობა. ხოლო მისი წმიდა სხეულიდან ისეთი ერთ აუწერელი სურნელი იფრქვეოდა, რომ იგი ამა სოფლის ნებისმიერ სურნელს აღემატებოდა, როგორც მხის სინათლე აღემატება ვარსკვლავთა ნათელს.*

* იოანე რუფუსი შემდეგნიზრად აღწერს წმიდა ჰეტრე იბერიელის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მოვლენებს: ...“იყო იმ სოფლის მოსახლეობის დიდი ტირილი და დაღადისი. ისინი იგონებდნენ ბევრ სასწაულს, ნიშნებს და კურნებას, რომელთაც ღმერთი მისი მეოხებით ახდენდა, განსაკუთრებით დიდ მხარდაჭერასა და მოწველებას, რომელთაც მათ ცხონებული ანიჭებდა... როცა გათენდა, წმიდანის სხეული სურდარაში გაახვიეს და საკურთხევის წინ დაასვენეს და რადგანაც ზოგიერთი მძათაგანი ჯერ კიდევ არ ატარებდა წმიდა სამოსელს, მათი ტანისამოსი წმიდა სხეულის ხელზე შენებით აკურთხეს და ასე სინარულით შემოსეს ისინი... შემკვიდრები ცდილობდნენ ცხედარი წაესვენებინათ და დაემარწნათ მის უწინდელ მონასტერში, რომელიც მაიუმის მეზობლად მდებარეობდა. მათ ემინოდათ, როცა ამ ქალაქის მაცხოვრებლები წმიდანის გარდაცვალების ამბავს გაიგებდნენ, მისდამი დიდი სიყვარულის გამო, სწრაფად მოვიდოდნენ, მის წმიდა სხეულს მოიტაცებდნენ და ამ ქალაქის ერთ-ერთ ტამარში დაკრძალავდნენ. რამეთუ მას ანგელოზად და წინასწარმეტყველად რაცხდნენ. ამიტომ მისი კუბო სწრაფად მხრებზე შეიდგეს

წმიდა და ღმერთშემოსილი მამა ჩვენი ჰეტრე ქართველი, ეპისკოპოსი ზალესტინის ქალაქ მაიუმის. აღესრულა ორ დეკემბერს, ჰარასკეე დღეს, სამოცდარსეთი წლის ასაკში, ბერძენთა მეფის, ზენონის (441-491) დროს.

და გზას გაუდგენენ... ჩვენთან იმყოფებოდა მამა მახსოსი. მოკრძალებული, წყნარი, სულიერი სათნოებით აღსავსე, რომელიც ერძობიდან მოხუცებულობამდე სიწმიდით მორჩილებითა და ქალწულებით მტკიცედ იცავდა ასკეტურ ცხოვრებას. სანამ საჭმელად დაფარდებოდა, მან უცებ წამოიძახა: „მისმინეთ, თუ რა უნდა გაიმბოთ... ერთხელ, როცა ნეტარი ჰეტრე ერთ-ერთ უკანასკნელ წმიდა საიდუმლოს ასრულებდა, მე დავინახე რაღაც მეწამულის მსგავსი ღრუბელი და ამ ღრუბლიდან საკურთხევლის თავზე მიშვერილი ხელისგული. შიშით შეპირობილი ვიდექი და ვკანკალებდი, მაგრამ წმიდანი არაფერს ამბობდა, რადგანაც მან ამის მიზეზი იცოდა. მომდევნო დღეს, უკანასკნელი წმიდა მსხვერპლშეწირვის დროს, ამჯერად დავინახე ხელის მტევანი იდაუვამდე, ღრუბლებიდან საკურთხევლის თავზე გამოშვერილი... წმიდანმა მითხრა, რომ მის სიცოცხლეში ამის შესახებ არაფერი მეთქვა. ახლა კი დრო დადგა იცოდეთ, თუ ჩვენ როგორ წმიდანთან ერთად გველიძნა ცხოვრება და როგორ მამას, მწვემს, ეპისკოპოსს, ღვთისმსახურსა და ჩვენი სულიათვის ქომაგს დავშორდით სხეულებრივად“. იმ ხელის ჩვენება ნიშნავდა ზეციდან უფლის მოწოდებას. ღმერთმა ხელი გამოგვიძვირა და იგი თავისთან იხმო, როგორც წერია: „მარჯუენამ უფლისამან ამამაღლა მე, მარჯუენამ უფლისამან ქმნა ძალი. არა მოვკუდე, არამედ ვცხონდე და განვთქუნე მე საქმენი უფლისანი“ (ფს. 117,16)... გამთენიისას მაიუმისა და ღაზის მოსახლეობამ შეიტყო ცხოვრებულის გარდაცვალების შესახებ და გაიქცნენ მისი წმიდა გავამის მოსატაცებლად. ამის უფლებას თუ არ მისცემდნენ, აპირებდნენ მისი ნაცვამი ტანისამოსის ერთმანეთში განაწილებას. მაგრამ როცა ჰეტრე მათ დაკრძალული დახვდათ, პირქვე დაემხვნენ და თავიანთი სცეს მის წმიდა ღუსკუმას. მოთქვამდნენ და გულისთადი ვედრებით ძირს ემხობოდნენ, როგორც საეუარელი შვილები, რომელთაც ასეთი მამა წაართვეს და არა მარტო მამა, არამედ აღმწოდელიც, მწვემსიც და ეპისკოპოსიც...“ (პპ. გვ.196-201).

მე, გლახაკი* მისი მოწაფე, წმიდანს საქართველოდან გამოყვევი და მასთან ვიყავი მის გარდაცვალებამდე. ამიტომაც აღვწერე მისი ცხოვრება და სასწაულები, ჩემი თვალთ ნანახი და ჩემი უერთი მოხმენილი. თვითონ ნეტარი და წმიდა, როგორც კეთილი მამა, თავის შვილებს ისევე ჩვენს სასარგებლოდ არაფერს გვიძალავდა. იგი გვიამბობდა თავისი სილხეებისა და უფლის გამოცხადებათა შესახებ. მის მიერ მოხდენილი სასწაულების თვითმხილველნი კი ჩვენ თვითონ ვიყავით.

ქრისტემ უწეის, რომ აღვწერე მისი მრავალი სასწაულიდან მცირედი. თითქოს უკიდევანო ზღვიდან შევავროვე მცირეოდენი წვეთები. ასე მოვიქცევი იმიტომ, რომ სასწაულთა სიმრავლის გამო შურიანი მტრის ჩავიხრებით ისინი დაუჯერებლად არ მოგჩვენებოდნენ.

უნდოთ ნუ მოეკიდებით საღვთო წერილებსა და წმიდანების ცხოვრებას, როგორც თავშივე მოგახსენეთ. „ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს“ (იოანე 20:27).

ჩვენ კი, ძმებო, მივბამოთ ჩვენი წმიდა მამების ცხოვრებას და ვთხოვოთ მათ შემწეობა წმიდა სამების წინაშე. განსაკუთრებით კი ნეტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს— მშვენებასა და სიამავეს ქართველთა და ქომაგს მთელი ქვეყნიერებისა, რადგანაც წმიდა მამის ჰეტრეს მიერ განსწავლულნი, მისივე მეოხებით, მასთან ერთად ღირსი გავხდეთ წათა სასუფეველისა ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომელსაც შვენის დიდება, ჰატვი და თავიანთისცემა თანა დაუსაბამოდ მამით და ეოვლად ძლიერით და ცხოვლისმოყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

დიდება ღმერთსა!

* გლახაკი — სასულიერო პირთა თავმდაბლობის აღმნიშვნელი სიტყვაა საკუთარ თავზე ლაპარაკის დროს (პნ. გვ. 87).



წმ. ჰეტრე იბერის მინიატურული გამოსახულება.
1742წ. სადღესასწაულო*.

* სადღესასწაულო შედგება წმინდანთა სვინაქსარული (მოკლე აღწერილი) ცხოვრებისა და საგალობლებისგან. სადღესასწაულო იკითხება წმინდანთა ხსენების (დღეებში) დღესასწაულებზე ღვთისმსახურებისას (35. გვ. 44).

მიერთგან სამეფოთა აღმოსცენდი
შენ, წმიდაო და გამოიხუენ უვაჟილნი
მრავალ-ფერნი სათნოებათანი და
მაღლი საკვირველებათა შენთა განისმა
უოჟელსა სოფელსა შენსა. ამისთვისცა
მაღლმან ღვთისამან გცნო შენ მიჰრონითა
მღვლთ-მოძღუარებისათა და, ვითარცა
მწეემსმან კეთილმან, დასდევ სული შენი
ცხოვართათვის. და აწ დამკვიდრებულ ხარ
უოჟელთა წმიდათა თანა წინაშე ღმრთისა.
მათ თანა ქრისტესა ღმერთსა ევედრე, რათა
შეიწუაღნეს სულნი ჩუენნი.

ლიტერატურა

1. წმიდა კირიონ II. ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში. ქართული მწერლობა. ტ. 23. თბილისი. 2005.
2. წმიდა ზოლივეტოს კარბელაძე. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი. ტფილისი. 1890.
3. ანანია ჯაფარიძე (მთავარეპისკოპოსი). ქართული საეკლესიო (სალიტერატურა) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი). თბილისი. 2002.
4. ანანია ჯაფარიძე (მთავარეპისკოპოსი). ჰეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი. თბილისი. 2002.
5. ვ. დიხენკო. საკვირაო სახარებათა განმარტება. თბილისი. 2001.
6. ვ. თევზაძე. ჰეტრე იბერი. თბილისი. 2010.
7. ვ. კოპლატაძე. სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“. წმიდა ჰეტრე იბერი. თბილისი. 2011. №1.
8. ვ. წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები ჰალესტინიდან. თბილისი. 1960.
9. გეორგიკა II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები ჰეტრე იბერის ბიოგრაფიისათვის. ს. ეახნიშვილი. თბილისი 1965.
10. დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფილისი. 1889.
11. ე. მამისთვლიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია. გორის სასულიერო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ვ. ჩანანიძე. ჰეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბილისი. 1974.
13. თ. ჟორდანი. ქრონიკები II. ტფილისი. 1897.
14. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი. 1999.
15. ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონიური ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1986.
16. ივ. ლოლაშვილი. არეზაზიტიკის პრობლემები. თბილისი. 1972.
17. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 1. თბილისი. 1960.
18. ლ. ჭილაძე. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი. 2004.
19. თ. ლორთქიფანიძე. შრომები. ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრატონის გეოგრაფიაში. ტ. I. თბილისი. 2010.
20. ზ. ინგოროვა. თხულებათა კრებული. ტ. I. თბილისი. 1963.

21. ზ. კონკოვილი. მოგზაურობა წმიდა ქალაქს იერუსალიმსა და წმიდა ათონის მთაზე. ტფილისი. 1901.
22. ჰეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეზაზელი). შრომები. ეგრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბილისი. 1961.
23. ჟურნალი “ივერია”. 1877. №14,15,16,17.
24. ჟურნალი “ივერია”. 1888. №2.
25. საეკლესიო ლიტერატურული კალენდარი. თბილისი. 2000.
26. ს. ეახნიშვილი. ჟურნალი “დროშა”. 1957. №5.
27. ტ. ვაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოხატვად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი და სამიუბელი დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი. 1956.
28. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. წ. I-II. თბილისი. 1991.
29. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბილისი. 1955.
30. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია. ექსპედიცია წმიდა მიწაზე. თბილისი. 2002.
31. შ. სიდაძე. ჟურნალი “ცისკარი”. 1969. №4.
32. ც. ინწკირველი. ქრისტეს დიდმშენიერი დიდება. თბილისი 2000.
33. ცხოვრება ჰეტრე იბერისა. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი სამიუბელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი. 1988.
34. ძველი ალექსანდრე. წიგნი შექმნისა. საქართველოს საპატრიარქო. 2006.
35. ძველი ქართული აზოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. IV. სვინაქსარული რედაქციები XI-XII სს. გამოხატვად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. ვაბაშვილმა. 1968.
36. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. შედგენილი გრიგოლ რუსაძე. თბილისი 2008.
37. ძველი ქართული აზოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ჰეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა. წიგნი 2. თბილისი 1967. ი. აბულაძის რედაქციით.
38. წმინდანთა ცხოვრება. წიგნი I, II. თბილისი. 2003.
39. Т. Б. Вирсаладзе. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели Тбилиси. 1974.
40. С. В. Horn. Asceticism and Christological Controversy in Fifth – Century Palestine. The Career of Peter the Iberian. Oxford University Press. 2006.



წიგნზე მუშაობდნენ:

ანა აბულაძე – ბიოლოგიის დოქტორი,
ნანა ზაქროშვილი, მარია მძივაშვილი.

დახმარებისთვის მადლობას ვუხდით:

თამარ მჭედლიშვილს, ვერიკო კოტეჩიას,
ნონა ენუქიძეს და თენგიზ გუგუშვილს.

კომპიუტერული მომსახურება:

მარია გაჭვიშვილი, ალექსანდრე კუსანაშვილი.